

შესწორებული და შენიშვნანი ვაჟის-ტყალს-  
ნის 22-ე გამოცემის შესახებ


# პრიტიკული შექსტის

რამდენიმე ნიმუშით

დაუეწყარის

ა. ი. სარაჯიშვილის

ხსოვნას



## წინა სიტყვა

„ვეფხისტყაოსნ“-ის მე-22-ე გამოცემის რედაქტორობის დროს, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ჩვენ ველარ მოვასწარით მასში ყველა შესწორების შეტანა და ტექსტის სასურველად გაწმენდა აშკარა ჩანართებისაგან და აგრეთვე, ვარიანტების მიხედვით, პოემის ენის შესწორება.

ძლიერ გვაჩქარებდა, როგორც სტამბა, ისე ხელის-მომწერლები და ყველა ეს ნებას არ გვაძლევდა, გულდასმით შეგვემოწმებია კორექტურული ფურცლები ორიგინალზე; ეს კი არა და — რადგან სტამბის „ნადეჟდა“-ს გამგეს ჩვენთან დადებულის ხელ-შეკრულობის პირობები სხვარიგად ესმოდა და კორექტურულ ფურცლებს შინ არ გვიგზავნიდა, იძულებული ვიყავით, რომ ხელის-მომწერლებთან პირი არ გაგვეტეხოდა, დავმორჩილებოდით მესტამბის ჰირვეულობას და სტამბაშივე სიჩქარით გვესწორებია კორექტურა. უამისოდ შეუძლებელი იყო წიგნის სტამბვის დასრულება.

ამ სიჩქარესა და გაფაციცებით მუშაობას უნდა მიეწეროს ისიც, რომ შეცთომით დაისტამბა ხელნაწერებისა და ვარიანტების აღსანუსხავი ციფრები.

ამავე მიზეზების გამოისობით, ტექსტში ვერ შევიტანეთ ყველა შესწორება: დაგვრჩა ხელ-უხლებლად, ანუ უკეთ, ისევ ვახტანგის რედაქციის მიხედვით დაისტამბა ის ტრადიციული შეცთომები, რომლებიც ამ 15—20 წლის წინად უკვე შესწორებული გვექონდა.

მხოლოდ იმითი ვიმედობთ, რომ ჩვენი 22-ე გამოცემით ჩვენ წავდგით ბიჯი წინ ტექსტის გაწმენდაში, სახელდობრ, არსებულ ხელ-ნაწერებზე შევამოწმეთ ვახტანგის გამოცემის ტექსტი და სხოლიოში მოვათავსეთ ის ხანები, რომლების ჩა-

ნართობას ადასტურებდა ჩვენს საგანძურებში არსებული ხელ-  
ნაწერები. მხოლოდ უნდა გამოვტყდეთ, რომ ისევ გულს გვი-  
წვრილებს ზოგიერთი ტექსტში დარჩენილი ჩანართი ხანა,  
რომლების განდევნას აგრეთვე მოითხოვდა. 4988 №-ი ხელ-  
ნაწერი, (იხ. ჩვენი წინასიტყვაობა, ხელ-ნაწერები, LI გვ.)

ამ წიგნაკით ჩვენ ვასწორებთ ჩვენს 22-ე გამოცემაში  
გასულ შეცდომებს და აგრეთვე მოგვაქვს ტექსტის საბოლოოდ  
გაწმენდის რამდენიმე ნიმუშიც. ახლო მომავალში განზრახვა  
გვაქვს სერიებად ვსტამბოთ „ვეფხისტყაოსნ“-ის კრიტიკულად  
შემუშავებული ტექსტი.

ი. აბულაძე.

ტფილისი, 3 ივლისი 1914 წ.



# ჩანართთა შესახები მოსაზრებანი

ჩვენ უკვე აღენიშნეთ<sup>1</sup> ის გარემოება, რომ ჩვენს საგანძურებში არსებული ხელ-ნაწერების ვახტანგის რედაქციასთან შედარება გვაძლევს საუკეთესო საბუთს ვსცნოთ ამ უკანასკნელში ჩანართად ბევრი დღემდე ნამდვილად ცნობილი ხანა, რადგან, ვახტანგის გამოცემაზე ზოგიერთი ხელ-ნაწერების შემოწმებით, ცხადი ხდება, რომ „ვეფხისტყაოსნ“-ის გადამწერლებს სხვადასხვა დროს შეჰქონდათ ესა თუ ის ახლად შეთხზული, ან სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა პირის ჩანართი ხანები, რის გამო დღევანდელი ვრცელი რედაქციები წარმოგვიდგენს რუსთელის უკვდავ ქმნილებაზე აგებულს სხვადასხვა პირის ლექსთა ერთგვარს კრებულს.

ჩვენის მუშაობის დროს ცხადად წარმოგვიდგა, რომ ვახტანგის რედაქცია, თვისი შედგენილობით, წარმოადგენს უძველესი „ვეფხისტყაოსნ“-ის სახეს, იმ განსხვავებით, რომ გადამწერელს მასში შეუტანია ზოგიერთი ისეთი ხანა, რომელიც არ მოიპოვება იმგვარს რედაქციებში, როგორცაა: წერა-კითხვის გ. საზოგადოების საგანძურის 2829, 4499 და 4988 №№-ები და საისტ. და საეთნ. საზ. საგანძურის 599 და 461 №№-ები და სხვა მაგვარი, რომლებიც გადმოუწერიათ იმგვარი რედაქციებთგან, რომლებსაც ჯერ არ უნდა ჰქონოდა ნახლები ვახტანგის რედაქციის შემკეთებელის პირის ხელი და მხოლოდ შემდგომში ახალ რედაქტორებს ისინი შეუუვსია სხვა უფრო ვრცელი რედაქციებთგან და ჩაურთავთ მათში ახალი ხანეუი და გაგრძელებანი. ეს რედაქციებიც, როგორც ჩვენ უკვე გამოვსთქვით,<sup>2</sup>) შეიცავენ როგორც გაგრძელებას, ისე ბევრ ახლად ჩანართ ხანას, რომლებიც რუსთელის ენის სრულიად შეუფერებელი არიან და რომლებსაც ვახტანგის გამოცემაც თავისი მხრით უარ-ჰყოფს, როგორც ერთი უძველესი და ყველაზე წმინდა და შეურყენელი რედაქცია; მაგრამ საქმე ის არის, რომ ხსენებული რედაქციების გადამწერლებს თავიანთი რედაქციების ამა თუ იმ ნაწილში, ნებისთ თუ უნებლიეთ, არ შეუტანიათ ბევრი, როგორც ვახტანგის გამოცემით, ისე ფაქიზად შესრულებული ვრცელი რედაქციებით დაცული ჩანარ-

<sup>1</sup>) იხ. „ვეფხ-ტყ.“ მე-22-ე გამოცემა, 1914 წ., წინა სიტყვა, ხელ-ნაწერები, გვ. LXII.



თები. ამის და მიხედვით, ჩვენ განვდევნეთ ვახტანგისეული რედაქციითგან ის ხანები, რომლებიც ხსენებული ხელ-ნაწერებით უარ-ყოფილია. ამგვარის ოპერაციის წყალობით, ჩვენ მივიღეთ „ვეფხისტყაოსნ“-ის 22-ე გამოცემა.

მცირეოდენი დაკვირვებაც საკმაოა, რომ დარწმუნდეს. აღამიანი დასახელებული ხელ-ნაწერებით უარყოფილი ხანების ჩანართობაში, რადგან ისინი, როგორც სტილით, ისე შინაარსით, რუსთელის ენის შეუფერებელია.

ამნაირად, ვახტანგის რედაქციის აქ დასახელებულ ხუთ ხელ-ნაწერზე შემოწმებით და იმ ხანათა გამოკლებით, რომლებიც ამ ხელ-ნაწერებს აკლია, ვახტანგისეულ რედაქციასთან შედარებით, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ დაახლოებით წმინდა. და შეურყენელი „ვეფხისტყაოსნ“-ის ტექსტი. მაგრამ საქმე ამით როდი ბოლოვდება.

ამგვარის მუშაობის შემდეგ კიდევ უფრო ცხადი ხდება. ის, რომ ბევრი ხანა, რომლებსაც, ვახტანგის რედაქციასთან ერთად ხსენებული რედაქციებიც იცავენ, თავისი სტილის სიახლითა და აშკარა უაზრობით, არ შეიძლება მიღებულ იქნას რუსთელის კალმის ნაყოფად.

ამას გვიკარნახებს იგივე ხელ-ნაწერები, რომლებიც უარყოფენ ჩვენ მიერ განდევნილ ხანებს: მაგალითად, განდევნილი ხანები მოითხოვენ, რომ მათ წავატანოთ ზოგიერთი მათ შემდეგ დარჩენილი ხანებიც, რომლებიც, მათი განდევნის შემდეგ, მეტ ბარგად რჩება პოემის ტექსტში. ეს გარემოება მოწმობს, რომ ისეთ მოკლე და შედარებით წმინდა რედაქციის, რომლისგანაც წარმოსდგა ვახტანგისეული რედაქცია, კოპიტებსაც ვერ მოუთმენიათ გადაწერის დროს, მათთვისაც წაუძლევიან სულს და ამიტომაც შეუტანიათ ტექსტში ზოგიერთი მათ დროს არსებული ჩანართი ხანები სხვა რედაქციითგან, რითაც, ჩვენის აზრით, აიხსნება ის აშკარა დამოკიდებულება, რომელიც არსებობს ვახტანგის რედაქციის ზოგიერთ ხანებსა და ვრცელი რედაქციების აშკარა ჩანართებს შორის.

ეტყობა, უძველეს რედაქტორებს, რომლებსაც ხშირად ხელთ ექნებოდათ ძალზე დაზიანებული ხელ-ნაწერები აშკარად დეფექტებით, ან წარყვნილი ადგილებით, რომლებიც ძნელი გასასწორებელი იყო, იმ მიზნით, რომ შეეესოთ ამგვარი ხარვეზები, ჩაურთავთ ბევრი ხსოვნით აღდგენილი, ან უკვე სხვა რედაქტორის მიერ შეთხზული ხანა რომელთაც თავისი მზრით გამოუწვევია ამა თუ იმ ხანის საჭიროება, და, აი სწო-

რედ ეს უნდა ჩაითვალოს, ჩვენის აზრით, ამ ჩვენის ძეგლის თან და თან განვრცება-გადიდების უმთავრეს მიზეზად.

როგორც ვიცით, ამგვარის მუშაობის მოწმე რამდენადმე ყოფილა პ. ლარაძეც, რომლის მოწმობით, „ვეფხისტყაოსან“ იღიდად გარყვნილიყო, და ამ მიზეზით თ. გიორგი ვენატეს ძე თუმანოვს მოეპოვა უძველესი ხელ-ნაწერი „ვეფხისტყაოსან“-ი „კერძოთა არტანუჯისათა“-ი.

ამ პეტრე ლარაძის მიერ „მხარეთა არტანუჯისათა“ მოპოებული ხელ-ნაწერის ვახტანგის გამოცემასთან შედარებითგან ირკვევა, რომ მასში შეუტანიათ 17 ახალი ხანა, რომლებიც არ იცის ვახტანგის რედაქციამ.

მაშასადამე, გ. თუმანიშვილს შეუტანია იმ რედაქციაში, რომლისგანაც გაჩნდა ვახტანგისეული გამოცემა, ზოგიერთი მის დროს არსებული ხანები, რის შესახებაც ერთს გ. თუმანიშვილისეულს პ. ლარაძის რედაქციაში დაცულია კიდევ ბიბლიოგრაფიული ცნობა.

გადავდივართ მაგალითებზე, რომლებიც ამართლებენ ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ჩანართების შესახებ. სანამ შევხებოდეთ იმ ჩანართებს, რომლებსაც კავშირი აქვს უკვე განდევნილ ხანებთან, ჩვენ, რიგის დასაცავად, ჯერ გავარჩევთ ერთს ჩანართ ხანას, რომელიც გვაგონებს თავისი სტილითა და უაღვილობით 82 ხანას, რომელიც, როგორც ჩვენ დავინახავთ, გამოწვეული ყოფილა ერთი აშკარა ყალბი ხანით.

1. როგორც ვიცით, 32 ხანაში როსტევეან მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მას არა ჰყავს ყმა-შვილი, რომელიც მოასპარეზედ და მშვილდოსნად ჰგავდეს მას; ერთი მისი განაზარდი ავთანდილია, და ისიც ცოტათი, თუ შეედრება მას ამ მხრით.

ავთანდილ, — სხვა დროს ლალი და თამამი ჯაბუკი, — ამ შემთხვევაში წყნარად და დამშვიდებით მოისმენდა მეფის ბრძანებას, რომელზედაც მან მორცხვად, თავ-მოდრეკით გაიღიშა, ასე რომ მეფე სრულიად ბუნებრივად ჰკითხავს: „რას იცინი, ანუ ჩემგან რას შეგრცხვენდაო, ე. ი. მეფეს სურს გულახდით და თამამად გამოსთქვას ავთანდილმა, თუ რას ნიშნავს მისი მორცხვი და „თავ-მოდრეკით გაღიშება“, მეფის შეკითხვის შემდეგ, „რას იცინი, ანუ ჩემგან რას შეგრცხვენდაო“, სრულიად ბუნებრივი იქნებოდა პაუზა, — ხანგრძლივი სიჩუმე, დაკმედილი, მორიდებული ადამიანის მხრით; რომელიც მეფესავე უნდა დაერღვია, და მართლაც, მეფემევე უბრძანა: „რად-

მცა ვიწყინე თქმა შენგან საწყინარისა, ჰეიცა მზე თინათინისა... ამ ფიცის შემდეგ ავთანდილ თავს ეტყვის: დავიწყო კადრება საუბნარისა, ნუ მოჰკვებ მშვილდოსნობასაო (თავსავე ეუბნება: ნუ მოჰკვებ მშვილდოსნობასაო, ანუ ნუ მოგვებ მშვილდოსნობასო), თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისაო; ცხადია, ავთანდილ მეტის-მეტად თავდაქერილად იქცევა, რადგან ძალიან კარგად ესმის, რომ, — „მოასპარეზედ ვინ მჯობსო“, — ასე თავის მოკვება, — „სუდილა უკუთქმანია“, ე.ი. ვერ არის კარგი და მოსაწონი რაინდული პასუხი, და რომ ყველაფერს გადასწყვეტს „ბურთი და მოედანი“.

მაგრამ ვილაც გადამწერელი ამით როდი დაკმაყოფილებულა: მას შეუტანია 30-სა და 32 ხანას შუა 31 ხანა, რომელიც სტილით, შინაარსითა და ლექსითაც რუსთვლის ნათქვამისაგან განსხვავდება.

ეს ხანა იწყება ჩანართი ხანის ჩვეულებრივი დასაწყისით „კვლავ“: კვლავ უბრძანა: „თავსა ჩემსა რას იცინი, რა დამგმეო?“ — მეფის ამგვარი კილო საოცარია, რადგან ავთანდილს საგმობი და დამცინავი სიტყვა არ უთქვამს, არც სხვა რამ შეურაცხ-ყოფა მიუყენებია, მეფისთვის: იგი, პირ-იქით, ძალიან მორცხვად და თავ-მოღრეკით გაიღიმებს. მეფე კი, რომელიც ჯერ ჰკითხავს: „რას მერცხვი, ან რას იცინიო“, უცებ საყვედურსა და გულის-წყრომაზე გადადის და ეუბნება: „თავსა ჩემსა რას იცინი, რა დამგმეო“?

ვერც ყმის პასუხია მოხდენილი: იგი უპასუხებს მეფეს: „მოგახსენებ და ფირმანი მიბოძეო. გამოდის, რომ ჯერ უნდა თქვას, რის ნებაც არა აქვს, და მერმე კი აიღოს ამის ნებართვა. ესეც გაქირვების ლექსია. მთელი ეს ხანაც თავისი ფორმით და ლექსის ულაზათობით ეუცხოება რუსთვლის კალამს. იგი უფრო ვისიმე უნიჭო და გამოუცდელი მელექსის ნაწერსა ჰგავს: ამიტომ რითმებიც ვერ არის შეწყობილი: 1)...რას დამგმეო, 2)...ფარმანი მიბოძეო, 3)...არ გარისხდე, არ გასწყრეო, 4)...არ ამიკლო ამაზეო.\*) ყველა ამის და მიხედვით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს 31 ხანა ჩვენს ძეგლში ჩანართი უნდა იყოს, რადგან ის ბევრს არაფერს ჰმატებს მოთხრობას და ლექსით და ფორმით ძალიან გვაგონებს 82 ხანას, (იხ. ქვემოთ) რომელიც ამ ხანის დამწერსავე უნდა ეკუთვნოდეს და რომლის შესახებაც საუბარზე ეხლა გადავდივართ.

\*) იხ. 22-ე გამოცემა.

2. როგორც ვიცი, 78 ხანის შემდეგ, პ. ლარაძის გადაწერილ ხელ-ნაწერში შეუტანიათ 78<sup>1</sup> ხანა (=ჩენი რედ. შეტომით 74<sup>1</sup>, იხ. გვ. 14), რომელიც ვახტანგის გამოცემაში არ არსებობს, და რომელიც მიიღო და შეიტანა ნამდვილ ტექსტში ი. მეუნარგიას ხელ-მძღვანელობით მომუშავე კომისიამ. კომისიის მოსაზრება ადვილი ასახსნელია, რადგან ამ ხანის არსებობას მოითხოვს 82 ხანა, რომლისაც ამ ჩანართთან დამოკიდებულება აშკარაა.

მოვიტანოთ ორივე ხანა:

78<sup>1</sup> (=74<sup>1</sup> შეტომით):

„თუ ყოფილა — იგი მოყმე კორციელი კმელთა მელელად, მას ნახვიდა სხვაცა ვინმე, გამოსჩნდების მასწავლელად, თვარემ ეშმა გჩვენებია ლხინთა შენთა შესაცვლელად,\*) და სევდისაგან მოიცალე, რად შექნილხარ მოუცლელად.\*\*)

როგორც ამ ხანის შინაარსითგან სჩანს, თინათინ ეუბნება მამას: „თუ ხორციელია ის ყმა, რომელმაც ამდენი მწუხარება მოგვაყენა და შენც საგონებელში ჩაგადლო, მას, უეჭველია, სხვაც ვინმე ნახვდაო, და გვასწავლისო, თუ არა და — ეშმა გვჩვენებიაო.

ამასთან მკიდრო და განუწყვეტელი კავშირი აქვს შემდეგს ხანას, იხ. 82 ხანა:

„მეფე ბრძანებს: „მართალ იყო ასული და ჩემი ძეო, ვნახე რამე ეშმაკისა სიცრუე და სიბილწეო, ჩემად მტერად წამოსრული, გადმოჰრილი ზეცით ზეო, და გამიშვია შექირვება, არა მგამა ყოლა მეო.“

როგორც ხედავთ, ეს ხანა აშკარად მოითხოვს ყველა ხელ-ნაწერში, გარდა ვახტანგის გამოცემისა, არსებულ 78<sup>1</sup> ხანას, — რომელიც პეტრე ლარაძეს მის მიერ გადმოღებულს არტანუჯული რედაქციის პირში შეუტანია, — რადგან აქაც და იქაც ლაპარაკია სულის მტერ ეშმაკზე, ამიტომაც 78<sup>1</sup> ხანის მიხედვით, როსტევეანი ამბობს:

„მართალ იყო ასული და ჩემი ძეო, ვნახე რამე ეშმაკისა სიცრუე\*\*\*) და სიბილწეო, ჩემად მტერად წამოსრული, გარდმოჰრილი ზეცით ზეო!“

\*) ეს ხანა სხვა და სხვა გადაწერლებს, რადგან სტილი არ მოსწონებიათ, ბევრი უწვალკბიათ: „შესაცვლელად“-ს ნაცვლად, საუკეთესო ხელ-ნაწერების ვარიანტები კითხულობენ „შემცვლელ მშლელადს“ ს.

\*\*\*) ვარ. — მოუღებულად.

\*\*\*\*) ვარ. (ვახტ.) — სიცრუე.

ეს 82 ხანა მარტო იმისთვის არის უარ-საყოფელი, რომ მასში თინათინ წოდებულია „ასულადაც და ძე“-დაც, რამაც ხელი შეუწყო იმ შემტარს აზრს, ვითომც ხელ-მწიფე ქალი, რომლითაც უნდა ვიგულისხმოთ თამარ მეფე, მე-XII საუკუნეში იწოდებოდა ძედ და არა ასულად. ამისდა მიხედვით, წაურყვნიათ ზოგიერთს ხელ-ნაწერებში ადგილი, რომელიც ჩვენ შევასწორეთ, უფრო სარწმუნო ვარიანტების მიხედვით; მაგ., მე-ნ-ხანაში ნათქვამია:

„და ჩემი ძე დავსვით კელ-მწიფედ“-ო,  
რომელსაც სხვა ვარიანტები ასე ასწორებენ:

„ჩემი მზე დავსვით კელ-მწიფედ“-ო.

ამ ნაირად, ეტყობა, ვახტანგისეულის რედაქციის შემკეთებელს მოსწონებია 82 ხანა, რომელიც მის თანამედროვე წარყვნილ რედაქციაში ყოფილა, — და რომელიც შეუთხზავთ 78<sup>1</sup> ხანასთან ერთად, როგორც მასთან განუწყვეტელი კავშირის მექონი, — წაუძლევიან სულს და შეუტანია თავის ახალ რედაქციაში ხანა, რომლის სტილი და უგვანობა აშკარად ამხილებს ყალბის მქნელს.

ამ 82 ხანისთვის სრულიად ბუნებრივად წაუმატებია ყალბის მქნელს 83 ხანა, სადაც მეფე მეტის მეტად ახირებულად იქცევა: იმის ნაცვლად, რომ „შეწუხებულიყო ყმის ვერ პოვნით და სურვილის ვერ მიღწევით, იგი, პირ-იქით, „სიხარულით თამაშობას აღიადებს“, მხიარულობასა და გართობას ეძლევა: რაც კი ქვეყანაზე მგოსანი და მუშაითი იყო, იხმობს, დარბაზი აივსება მოწვეულებით და მეფის სიუხვეს ენა ვერ გამოსთქვამს.

მეფის საქციელის ამ გვარი ახირებულობა და უცნაურობა მით უფრო საგრძნობია, რომ იგი სრულიად ართმევს თინათინს მოტივს, მოიწვიოს ავთანდილ და მას დაავალოს უცხო ყმის მონახვა: მართლაც, რაღა საჭირო იყო, თუ კი რომ მეფემ დაეიწყებას მისცა ეს საქმე, კიდევ თინათინისაგან მწუხარების განახლება?!.. მეფემ სიხარულით თამაშობა აღიადა, და, ამავე დროს, მისი უებრო.ასული „ქუშად ჯდა“, „დაღრეჯით იყო მჯდომარე ძოწეულითა რიდითა“.

მაშასადამე, ყოველ ექვს გარეშეა, რომ ხანები 82 და 83 ეკუთნის იმ რედაქციის პირველი შემკეთებელის ხელს, რომლისგან წარმოსდგა ვახტანგის გამოცემა, და თუ ეს ასეა, მაშინ 81 ხანაც მეტ ბარგად უნდა ჩაითვალოს, რადგან მე-

80-ე ხანაში აზრი უკვე უმეტ-ნაკლებოა და დათავებული. რად-  
გან იქ უკვე ნათქვამია:

„ცუდად მაშვრალნი მოვიდეს; მისსაეე გულოსა ზადიაო“,  
და მაშასადამე, 81 ხანა, ამის შემდეგ, ნათქვამის განმეო-  
რება იქნება\*). და მართლაც, თუ ძალიან დავაკვირდებით, 81  
ხანა არც სტილით არის მოსაწონი: სულ რომ არა იყოს რა,  
ამ ხანის მე-4-ე ტაეპი: „და ჩვენ ვერა გარგეთ, საქმენი სხვანი  
რამ მოიგვარენით“-ო, ვერ არის მოხდენილი, რადგან სხვა  
საქმეების მოგვარება მეფეს გულის წყალულს ვერ განუკურნავდა.

ამიტომ ჩვენ 78<sup>1</sup> ხანასთან ერთად საჭიროდ ვერაცხთ  
განვლევნოთ ვახტანგის გამოცემითვან ხანები 81, 82 და 83.  
(იხ. 22-ე გამოცემა. იხ. აქვე თავი ბ, ხანები: 31<sub>1</sub>, 31<sup>2</sup> და  
31<sup>3</sup>).

3. ვრცელს, გაგრძელებათა მექონ, რედაქციებში, აგრე-  
თვე ჩვენ მიერ დასახელებულ 2829, 4988, 461, 5006, 757,  
54 და 599 №№-ებში, 88 ხანის შემდეგ, ვხვდებით ხანას\*\*):

„ქალმან უბრძანა: ზარი მღევს მე ამისისა თხრობისა,  
მწადდა არა თქმა, რომლისა ღონე არა მაქვს თმობისა,  
მაგრა იცია მიზეზი შენისა აქა კობისა,  
და რად ვზი ქუშად და დაღრეჯით ასრე მიყდილი ცნობისა?!“

ამ ხანას, რომელიც ვახტანგის გამოცემამ და პ. ლარა-  
ძის გადაწერილმა რედაქციამ არ იცის, ყველა რედაქციებში  
მისდევს ვახტანგის გამოცემის შემდეგი ხანა:

ყმაძან ჰკადრა: „საზაროსა ჩემგან თქმაღა ვით იქნების?!  
მთვარე მზესა შეეყაროს, დაიღვევის, დაცაქცნების,  
აზრად არად აღარა მცალს, თავი ჩემი მეგონების,  
და თქვენვე ბრძანეთ, რაცა გიმძიმს, ანუ რაცა გეკურნების“.  
(89 ხანა. იხ. აქვე ნიმუშები, თავი, ბ, ხანა 35<sup>1</sup>).

ერთი თვალის გადავლებითაც შეიძლება დარწმუნდეს ადა-  
მიანი, რომ ეს 89 ხანა გამოწვეულია ზემოაღ 88<sup>1</sup> ხანაში მო-  
ტანილი ქალის სიტყვებით:

„ზარი მღევს მე ამისისა თხრობისა,  
მწადდა არა თქმა, რომლისა ღონე არა მაქვს თმობისა,  
მაგრამ იცია მიზეზი შენისა აქა კობისაო?“

\*) ამ მხრით, საინტერესოა ამ მე-80-ე ხანის შედარება 581 ხანას-  
თან, რომელშიაც აგრეთვე სრულიად დათავებულია ნესტანდარეჯნის  
ძებნისა და ვერ პოვნის შესახები ამბავი და ამბის მძებნელთა მხრითაც  
აღარავითარი მოხსენება საჭირო აღარ არის.

\*\* ) იხ. ს. კაკაბაძე, 31.

— რადგან მხოლოდ ამის შემდეგ ბუნებრივია ავთანდილის პასუხის ამგვარი კილო:

„საზაროსა ჩემგან თქმაღა ვით იქნების? თქვენვე ბრძანეთ, რაცა გიმძიძს, ანუ რაცა გეკურნების“-ო. ცხადია, ეს ხანა ვახტანგისეული რედაქციის შემკეთებელს მოსწონებია და შეუტანია ვრცელი რედაქციითგან.

მაგრამ საქმე ის არის, რომ 2829 №-ი უარ-ჰყოფს 96<sup>1</sup> ხანას, რომელიც წარმოადგენს ავთანდილის პასუხს; ამ ხანის ჩანართობის შესახებ ჩვენ უკვე წარმოვადგინეთ ჩვენი მოსაზრება (იხ. გვ. XLII, წინა სიტყვა). და აქ ამის შესახებ აღარ გავიმეორებთ ლაპარაკს. ცხადია, 2829 №-ის რედაქტორ-გადამწერელს მოსწონებია და შეუტანია 89 ხანა, გადაუსწორებია 97 ხანის დასაწყისი „ყმამან ჰკადრა“ „კვლაცა ჰკადრად“, რომ შეეწყო იგი 89 ხანისათვის.\*)

ამისდამიხედვით, ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ განვდევნოთ ძირითად ტექსტიდან 88(=42) ხანა და გადავაკეთოთ 97 ხანის (=43 ხ.) დასაწყისი „კვლაცა ჰკადრა“ „ყმამან ჰკადრა“-დ.

ამნაირად, როგორც ეს ჩვენ კრიტიკული ტექსტის ახლად წარმოდგენილს ნიმუშებში გვაქვს, (იხ. თავი ბ, გვ. ხანა 43) 43 ხანის დასაწყისი ასე უნდა იყოს:

ყმამან ჰკადრა: „აჰა, მზეო, რადგან ღმერთმან მზედ დაგბადა!.. და სხვ. (იხ. აქვე, თავი ბ, ხანა 43).

4. სრულიად იგივე, რაც ზემოთ, შეიძლება ითქვას 608 და 609 ხანათა შესახებაც.

როგორც ვიცით, 2829 №-ი ხელ-ნაწერი უარ-ჰყოფს 608 ხანას, რომელიც ჩვენ დავტოვეთ ძირითადს ტექსტში მხოლოდ იმიტომ რომ არც ერთი ხელ-ნაწერი, არც 2829 №-ი, არ უარ-ჰყოფს ამ 608 ხანის მომდევნო 609 ხანას, რომელიც 608 ხანის განდევნისათანავე სრულიად ჰკარგავს აზრსა და მნიშვნელობას, რადგან 609 ხანა 608 ხანის ნამდვილი პასუხია და მიმართულია ასმათის მიმართ, რომელიც 608-ე ხანით ჰვედრებდა ავთანდილს აღრე მოსვლას. უ-608-ხანოდ, რა თქმა უნდა, 609 ხანას აღარავითარი აზრი აღარა აქვს:\*\*)

მაგრამ ეტყობა, აქაც იმგვარსავე მოვლენასთან გვაქვს საქმე, რომელიც ჩვენ ზევით გავიკანით ჩანართთა შესახებ. აქაც 2829 №-ი რედაქციის გადამწერელს მოსწონებია 609

\*) იხ. ამის შესახებ ჩვენი მოსაზრება, ხს. შრომა, წინასიტყვაობა, XLIII.

\*\*\*) შეიძლება „ყმამან“ „კვლაცა“-დ შეცვლილიყოს 96 ხანის მიხედვითაც

ხანა, წაუძლევი სულს და შეუტანია, გადაწერის დროს, სხვა რედაქციითგან, მაგრამ ამავე დროს მას დარჩენია ის ხანა, რომელზედაც ეს 609-ე ხანაა დამოკიდებული, რასაც, ჩვენის აზრით, შეუქმნია ეს უაზრობა. \*)

მართლაც, ერთი თვალის გადავლებითაც, შეიძლება დარწმუნდეს კაცი, რომ ეს ჩვენგან დასახელებული ორივე ხანა სრულიად უადგილოდ და ხელოვნურად არის ჩართული ხსენებულ ადგილას:

რალა საჭირო იყო დინჯი ასმათის მხრით ასეთი თამამი საქციელი, როგორც შამბსა და ყრუ ადგილებში აღევენება ავთანდილისთვის, რომელიც უკვე გამოცხადმა თავის მეგობარს და ძმად-ფიცს „ტირილითა და ცრემლის ღვრით“ და „შამბი შიგან ჩაიარა?! ამ ხანათა სტილიც და მოთხრობის კილოც ხომ მეტის-მეტად უგვანია და ულაზათო? გრძობაც მეტის-მეტად სანტიმენტალურია, გადაქარბებით გამოთქმული:

„ავთანდილს ასმათ ჩამოჰყვა, ზენარით ეუბნებოდა, მუკლთა უყრიდა, ტიროდა, თითითა ეხეწებოდა, ადრე მოსვლასა ჰვედრებდა, მართ ვითა ია ქნებოდა“ და სხვ.

— ერთი სიტყვით, აქ სრულიად აღარა სჩანს ის თავმოყვარე, დინჯი და თავდაპირილი ასმათი, რომელიც შეუღრეკელია თავის მოვალეობის ასრულების დროს, აქ კი ვილაც მათხოვარი დედაკაცივით ავთანდილს მან „მუკლნი მიუყარა“, ზენარითა და თითით ეხეწება და სხვა. რომ შეადაროთ ამას ასმათისავე შესახებ ვი<sup>21</sup> ხანა, რომელიც აგრეთვე ჩანართია, აშკარად დაინახავთ, რომ ორივე ეს ხანა ერთის კალმის ნაყოფია. ამას გარდა, 609-ე ხანაში ისე ბუნდოვანად არის გამოთქმული პირველი ტაევით ავთანდილის დაპირება, რომ „ის ადრე მოვა“, რომ არც კი სჩანს, თუ ვის: პირდება ადრე მოსვლას: ის ასმათს ეუბნება: „არ გაგწირავ“-ო, თითქო ამისთვის იყოს საჭირო, რომ ტარიელ სხვაგან არ წავიდეს და ნურსად არებს იმა ტანსა“-ო, ან თუნდა: რა მოსატანი იყო აქ სიტყვები: „არ გაგწირავ“-ო\*\*).

ამნაირად, ჩვენის აზრით, 609-ე ხანა რუსთველს არ უნდა ეკუთვნოდეს, და თუ, როგორც სამართლიანად იქცევა.

\*) იხ. და შეად. სარგის კაკაბაძის რედაქტორობით გამოსული ვეფხისტყაოსანი, 96 გვ., 631<sup>1</sup> ხანა.

\*\*) ან და კიდევ მე-4-ე ტაეპის: „შეიგნით, მიცემულ ვარ კირსა. რასმე თანის თანსა!“-ო? ნუ თუ ეს ასმათისთვის ახალი ამბავი იყო?!..



2829 №-ი ხელ-ნაწერის კოპისტი, 509-ე ხანას უარ-ვპყოფთ, მასვე უნდა გავაყოლოთ თან 508 ხანაც. (=იხ. აქვე, თავი იპ, ხანები 47<sup>1</sup> და 47<sup>2</sup>).

5. ჩვენ მეტის-მეტად თავ-დაქერილად მოვიქცეთ, როდესაც ხელუხლებლად დავსტოვეთ 4988 №-ი ხელ-ნაწერით უარყოფილი ხანები: 888, 889, 890, 891, 1493 და 1494, რომლებიც სტილით უგვანია და შინაარსითაც ზედ-მეტი, მით უფრო, რომ მათ შესახებ სამართლიანად მსჯელობდა „ვეფხისტყაოსნ“-ის ტექსტის საუკეთესო კრიტიკოსი განსვენებული ალ. ი. სარაჯიშვილი, (იხ. IV №-ი 1898 წ. =ქართვ. გ. 948, 949 და 950).

თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ დარწმუნდეს კაცი, თუ რამდენად ჩვენის ძეგლის ენის შეუფერებელია სტილის მხრით 889 ხანა და რა მძიმეა, როგორც ლექსი და აზრით ბუნდოვანი 887 ხანა; 890-ე ხანაც ხომ ზედმეტია, თუ 892 ხანას ნამდვილად ჩავთვლით, რადგან ავთანდილ 812-ე ხანაში „მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა“ და, მაშასადამე, სრულიად მეტი იყო კიდევ 890-ე ხანაში „მზესა ეტყვის, მზეო, გიტყვი... და სხვა; ამას გარდა, სტილიც ამ ხანის, როგორც ჩინებულად ამტკიცებს ა. სარაჯიშვილი, მოამბე № IV, გვ. 1, 1898, 949 ხანა, რუსთველის სტილს არ შეეფერება.

კიდევ უფრო ბუნდოვანია, თითქმის გაუგებარი, 891 ხანის აზრი (სარაჯ. 950, იქვე, 1 გვ.):

„თვე ერთისა მოშორება მზისა ზამთრის გაგვაცივნებს“-ო და სხვა, რომელიც ჩანართობის აშკარა ნიშნებს ატარებს.

ამნაირად 4988 № ხელ-ნაწერი სრულიად სამართლიანად ადასტურებს განსვ. ალ. სარაჯიშვილის აზრს 889, 890 და 891 ხანათა ჩანართობის შესახებ. მაგრამ 4988 №-ი უარ-პყოფს აგრეთვე 888 ხანას, რომლის განდევნით მოთხრობის ძაფი არა სწყდება. ამას გარდა, 887 ხანაც, თუმცა მას არ უარ-პყოფს ეს ხელ-ნაწერი, მაგრამ, როგორც სტილის, ისე ლექსთ-წყობის მხრით მეტის-მეტად მძიმეა, აზრიც ბნელი და გაუგებარი: რას ნიშნავს, მაგ.: „აწ აგრე გაყრა ძნელია, ვით მაშინ შეყრა ცათამლის“-ო, ან რა შინაგანი კავშირი აქვს ამ ტაეპის აზრს მის შემდეგის ტაეპის აზრთან: „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამლის“-ო. რომ ეს ხანა ჩანართი უნდა იყოს, ამას რამდენამდე მოწმობს უძველესი რედაქციის ხასიათის მატარებელი ხელ-ნაწერი—461 №-ი.

ეტყობა, იმ ხელ-ნაწერში, საითგანაც კოპისტს 461 №-ი გადმოუღია, არ ყოფილა ხანები: 887, 888 და 889, რის გამო მას, ე. ი. კოპისტს, მათი შეტანის დროს სხვა, ალბათ, უფრო ვრცელი რედაქციითგან, მისდა-უნებურად გადაუსვ-გად-მოუსვამს ეს ხანები ერთი-მეორის ალაგას: მაგალითად, 461 №-ში ერთი მეორის ალაგას არის გადასმულ-გადმოსმული 887 და 888 ხანები. ამის და მიხედვით, ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ, ჯერ-ჯერობით სხოლიოში მოვათავსოთ 887, 888, 889, 890 და 891 ხანები (=იხ. აქვე, თავი ლ, ხანები: 1<sup>1</sup>, 1<sup>2</sup>, 1<sup>3</sup>, 1<sup>4</sup> და 1<sup>5</sup>).

ხელ-ნაწერებზე ვახტანგის გამოცემის ტექსტის შეჯერების შემდეგ შესაძლებელი ჩდება ჩანართთა ხასიათის გაცნობაც: ცხადი ხდება, რომ ყველა ჩანართს შ უმთავრესი საერთო თვისება აქვს: ა) უკვე ნათქვამის განმეორება, ბ) სტილის უგვანობა, მისი ძეგლის ენისთვის შეუფერებლობა, გ) ლექსის სიღუბე, ნაძალადეგობა, ანუ უაზრო მაჯამებით წერა.

ჩვენს აქ წარმოდგენილ ჩანართებს შორისაც შეგვიძლია რამდენადმე პარალელის გაყვანა ენისა და ლექსთ-წყობის მხრით: ძალიან ჰგავს, მაგალითად, ერთმანერთს ხასიათით ჩანართები 31 და 82, ან 322<sup>1</sup> 593<sup>1</sup>, 608, 889, რომლებსაც, რომ აღარებ, პირდაპირ გრძნობ, რომ მათი დამწერი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს.

ასე რომ საოცრად აადვილებს ჩანართთა აღმოჩენას ვახტანგის ნაანდერძევი ტექსტის არსებულ ხელ-ნაწერებზე შეჯერების ნიადაგზე შესწავლა.

6. ჩვენი მუშაობის შემდეგ, ჩვენ დაუბრკოლებლივ შეგვიძლია ჩანართად ვსცნოთ ხანები 434 და 435, რომლებსაც ჩანართად სთელიდა ა. ი. სარაჯიშვილიც (იხ. მოამბე, № V, XVIII, 1893=ქართ. 489 და 490), რადგან მათი სტილიც ახალია და ამასთან თავისი შინაარსითაც უკვე ნათქვამის განმეორებაა და ზედ-მეტ: 435 და 436 ხანები შინაარსით თითქმის ერთი-მეორის განმეორებაა; ამას გარდა ეს ხანები ისეთი ახალი სტილით არის დაწერილი, რომ სრულებით არ შეეფერება ტანჯულმიჯნურთა სულიერი ვითარების იმ სურათს, რომელშიაც ისინი ჩაურთავთ. თავისი სტილის სიახლითა და სიმღერის კილოთა ისინი მოგვაგონებს უფრო ღრევიანდელ სააშვიკო ლექსებს და საიათნოვას დარდებს, ბაზახანურ კილოს, ვიდრე რუსთელის პოეზიას; რუსთელის მეტრიული მხატვრობა ამ ხანებით სრულებით დაცული არ არის.

როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ არჩეული გზა თანდათან მიგვაახლებს იმ ჰუმანიტეტბას, რომელიც ძალიან მტკიცედა სწამდა „ვეფხისტყაოსან“-ის ტექსტის ღრმა კრიტიკოსს განსვენებულ ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილს. ეს ბუნებით სპეტაკი და სიმართლის მოყვარული პიროვნება ვერ შერიგებოდა ჩანართების ავტორთა უგვან მსჯელობასა და აშკარა სიყალბეს, რომლის საუკეთესო დამახასიათებელია ის ჩანართებიც, რომლების სიყალბე მეტადრე ცხადია ჩვენ მიერ შესრულებული ოპერაციის შემდეგ. განსვენებული ალექსანდრე იჩენდა განსაცვიფრებელ ალღოს და დაკვირვების ნიქს ჩანართთა გამოცნობაში. მის მიერ აღმოჩენილი 145 ჩანართი ხანითგან, როგორც ჩვენ მომავალში დავინახავთ, თითქმის უმეტესობა ყალბად მისაჩნევია.

ამნაირად, ჩვენი მთავარი პრინციპი, რომელზედაც უნდა აგებულ იქმნას „ვეფხისტყაოსან“-ის ტექსტის ჩანართთაგან გაწმენდა, მოკლედ ასე შეგვიძლია გამოვსთქვათ:

1) არ არის ნამდვილი ხანა არც ერთ არსებულ რედაქციაში, ვახტანგის ნაანდერძე ტექსტს გარეშე.

2) ვახტანგისეულის ტექსტის შეჯერება და მისი ჩანართთაგან გაწმენდა შესაძლებელი ხდება იმ ხელ-ნაწერებზე შემოწმებით, რომლების გადაწერის დროს, კოპისტებს მათს ამა თუ იმ ნაწილში ჯერ არ შეეტანათ სხვა ხელ-ნაწერთგან, ან არ შეეთხზათ, გადაწერის დროს, ის ჩანართები, რომლებსაც იცავს ყველა უერცელესი და უსრულესი მე-XVII საუკუნის ხელ-ნაწერი; ამ კოპისტებს ეკუთნის ისეთი ხელნაწერები, როგორიცაა: 2829, 461, 599, 4488 და სხვა მათი გვარი რედაქციები.

ამ წიგნაკში ჩვენ მოგვაქვს ტექსტის გაწმენდის რამდენიმე ახალი ნიმუში. ტექსტი ჩვენ დავყავით თავებად. მომავალის გამოცემისთვის ჩვენ აზრად გვაქვს აგრევე თავებად დავყოთ და სერიებად გამოვსცეთ მთელის ძეგლის ტექსტი.

ჩვენი ნიმუშების ტექსტი შესწორებულია საუკეთესო ვარიანტების მიხედვით, რომლებიც დართული გვაქვს აქვე წიგნის ბოლოში.

# თ ა ვ ი ა

## ამბავი პირველი როსტევან არაბთა მეფისა.

1. იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი, მალალი, უხვი, მდაბალი; ლაშქარ-მრავალი, ყმიანი, მოსამართლე და მოწყალე, მორქმული განგებიანი, და თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი.
2. სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული, სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული, მან მისთა მქვრეტთა წაუღის გული, გონება და სული; და ბრძენი კამს მისდა საქებრად და ენა ბევრად ასული.
3. მისი სახელი თინათინ, არს ესე საცოდნარია: რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია. მეფემან იკმნა ვაზირნი, თვით ზის ლალი და წყნარია, და გვერცა დაიხხნა, დაუწყო მათ ამო საუბნარია.
4. უბრძანა: „გკიოხავთ საქმესა, ერთგან სასაუბნაროსა:— რა ვარდმან მისი ყვაილი გააკმოს, დაამქნაროსა, იგი წაეა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა,— და მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსქვრეტთ ღამესა ჩვენ უმთვაროსა.“
5. მე გარდასრულეარ, სიბერე მქირს, ქირთა უფრო ძნელია: დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია. რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია! და ჩემი მზე დაესვათ კელ-მწიფედ, ვისკან მზე საწუნელია.“
6. ვაზირთა ჰკადრეს: „მეფეო, რად ბრძანეთ თქვენი ბერობა!?. ვარდი თუ გაკმეს, ეგრეცა გემართებს რაზომცა ჯერობა, მისივე ჰმეტობს ყოველსა სული და ტურფა ფერობა,— და მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავემან ვითარცა ჰკადრა მტერობა!“
7. მაგას ნუ ბრძანებ, მეფეო, ჯერ ვარდი არ დაგქნობია, თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია; კამს განაღამცა საქმნელად, რაცა თქვენ გულსა გლმობია: დასჯობს, და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენათლობია.

8. თუცა ქალია კელ-მწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია; არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვიტქვამს კელა ღია; შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია, და ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია,“
9. აეთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა, საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა; ჯერ უწვევრული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა; და მას თინათინის შვენება ჰკლევდის წამწამთა ჯარისა.
10. გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალოულად; რა მოშორდის, ვერ მქვრეტელმან ვარდი შექმნის ფერ-ნაკლულად; ნახის, ცეცხლნი გაუახლდის, წყლული გაედის უფრო წყლულად-და საბრალოა. სიყვარული, კაცსა შეიქმს გულ-მოკლულად.
11. რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისო ქალისა, აეთანდილს მიხვდა სიამე, ვსება სკირს მის სოქალისა, თქვა: „ზედაზედა მომხვედების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა, და ნუ თუ ვით ვპოვო წამალი მე ჩემი, ფერ-გამქრქალისა!“
12. არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლობელმან: „თინათინ ჩემი კელ-მწიფედ დაესვი მე, მისმან მშობელმან; მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმანი ღ მოდით და ნახეთ ყოველმან შემსხმელმან, შემამკობელმან.“
13. მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი განმრავლდა ხასისა. აეთანდილ პირ-მზე სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა, ვაზირი სოგრატი—მოახლე მეფისა დასთა დასისა. და მათ რომე დასდგეს საჯდომი, თქვეს:—„უთქმელია ფასისა!“
14. თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა, დასვა და თავსა გვირგვინი დაადგა თავის კელითა, მისცა სკიპტრა და შეშოსა მეფეთა სამოსელითა. ღ ქალი მზებრ უქვრეტს ყოველთა, ცნობითა ზე-მხედველითა.
15. უკუ-დგეს და თაყვანის სცეს მეფემან და მისთა სპათა. დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა, ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკობდეს ტკბილთა კმათა; და ქალი ტირს და ცრემლსა აფრქევებს, ჰბრის ყორნისა ბოლო ფრთათა.
16. მამია ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა, ამად ტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა;

მეფე სწვრთნის: „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა, და ამისად ქმნამდის დამწველი ცეცხლი არ დამევისებოდა.“

17. უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თბრობილი: დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩვენგან კელ-მწიფედ კობილი, აქათგან ესე სამეფო მართ შენია მინდობილი, ჭ ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი.“
18. ვარდთა და ნებეთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების; უხვი აქსნილსა დაბამს, იგი თვით ების, ვინ ების, და უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების.
19. მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალფა რგულია. უხვსა მორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია; სმა-ქამა — დიდად შესარგი, დება რა სავარგულია? და რასაცა გასცემ, — შენია, რაც არა, — დაკარგულია!“
20. ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა, ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთნასა არ მოიწყინებდა; მეფე სმასა და მღერასა იქს, მეტად მოილხინებდა; და თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრა მზე თინათინებდა.
21. მოიკმო მისი გამზრდელი, ერთგული ნაერთგულევი. უბრძანა: „ჩემი საკურკლე, შენგან დანაბეკდულევი, მომართვი ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი“, და მოართვეს; გასცა უზომო, უანგარიშო, ულვევი.
22. მას დღე გასცემს ყველაქასა სიყაჟისა მოგებულსა, რომე სრულად ამოაგებს მცირესა და დიდებულსა. მერმე ბრძანა: „ვიქმ საქმესა, მამისაგან სწავლებულსა, და ჩემსა ნუფინ ნუ დამალავს საკურკლესა დადებულსა.“
23. უბრძანა: „წადით, გაკენით, რაცა სად საკურკლენია! ამილახორო, მოასხი, რემა, ჯოგი და ცხენია!“ მოიღეს; გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია. და ლარსა ხეეტდიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია.
24. ალაფობდეს საკურკლესა მისსა, ვითა ნათურქალსა, მას ტაიქსა არაბულსა, ქვე-ნაბამსა, ნასუქალსა, რომე ჰგვანდა სიუხვეითა ბუქსა, ზეცით ნაბუქალსა; ჭ არ დაარჩენს ცარიელსა, არ ყმასა და არცა ქალსა.
25. დღე ერთ გარდაკდა პურობა, სმა-ქამა იყო, ხილობა, ნადიმად მჯდომთა ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა; მეფემან თავი დაჰკიდა და ჰქონდა დაღრეჯილობა. ჭ „ნეტარ რა უმძიჰს, რა სკირსო?“ შექმნეს ამისი ცილობა.

26. აღგეს სოგრატი და აეთანდილ ტანითა მით კენარითა. თვითო აივსეს კიქები, მივლენ ქცევითა წყნარითა, წინა მიუსხდეს მუელ-მოყრით, პირითა მოცინარითა. და ვაზირი ლაღობს ენითა, წყლიანად მოუბნარითა:
27. „დაგიღრეჯია, მეფეო. აღარ გიცინის პირიო! მართალ ხარ, წაქდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და ძვირიო: ყველასა გასცემს ასული თქვენი საბოძვარ-კშირიო. და ყოლამცა მეფედ ნუ დასვი, თავსა რად უგდე კირიო!“
28. „ეგე არ მიძიმს, ვაზირო, ესეა რომე მწყენია: სიბერე მახლავს, დავლივენ სიყმაწვილისა დღენია, კაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩენია, და რომე მას ჩემგან ესწავლენს სამამაცონი ზნენია.“
29. ერთაი მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა, ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, ვარ საწუთროსა თმობითა, ანუშმცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა ბურთაობითა; და ცოტასა შემწვეს აეთანდილ, ჩემგანვე ნაზარდობითა.“
30. ყმა მეფისა ბრძანებასა ლალი წყნარად მოისმენდა, თავ-მოდრეკით გაიღიმნა, გაცინება დაუშვენდა, თეთრთა კბილთათ გამოძკრთალსა შუქსა ველთა მოათენდა. და მეფე ჰკითხავს: „რას იცინი, ანუ ჩემგან რას შეგრ-  
ცხვენდა?“
31. უბრძანა: „რადმცა ვიწყინე თქმა შენგან საწყინარისა!“  
— ჰფიცა მზე თინათინისა, მის მზისა მოწყუნარისა. —
- 
- 25<sup>1</sup>. თავსა ზის ჰირ-მზე აეთანდილ, მჭერეტთაგან მოსანდომია, სპათა სპასპეტო ჩაუქი, ვითა ვეფხი და ღომია; ვაზირი, ბერი სოგრატი, თვით მასთანავე მჯდომია. და თქვეს თუ: „რა უძიმს მეფესა, ანუ რად ფერი ჰკრთომია?!“
- 25<sup>2</sup>. თქვეს: „თუ მეფე ცუდსა რაშე გონებასა ჩავარდნილა, თვარე აქა სავძიმარი მათი უოლე არა ქმნილა.“  
აეთანდილ თქვა: „სოგრატი, ვგკითხოთ, გვითხრას, რაღა შეკვეცილა, და ვგკადროთ რაშე საჯადობო, რასათვისმცა გაგვაწილა!“
- 27<sup>1</sup>. რა მეფემან მოისმინა; გაცინებით შემოხედნა, გაუკვირდა, ვით მკადრო, ან სიტუვანი ვით გაბედნა. კარგა ჰქმნო, დაუმადლა, ბრძანებანი უიმედნა: და „ჩემი ზრახვა სიძუნწისა, ტუუვის, ვინცა დაიბედნა:
- 30<sup>1</sup>. კვლავ უბრძანა: „თავსა ჩემსა რას იცინი, რა დამგეო?“  
უშამან ჰკადრა: „მოგაკსენებ და ფერმანი მიბოძეო, რაღა გკადრო, არ გეწყინოს, არ გარისხდე, არ გასწყერო, და არ გამყადო კანბიერი, არ ამიქლო ამაღ ზეო“.

— ავთანდილ იტყვის: — „დავიწყო კადრება საუბნარისა: და ნუ მოვკვებ მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა:“ —

32. „მიწაცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია; ნაძლევი დაედვით, მოვასხნეთ მოწმად თქვენივე სპანია; მოასპარეზედ ვინ მგავსო? — ცუდილა უკუთქმანია, და გარდამწყეტელი მისიცა ბურთი და მოედანია“
33. „მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისა დაცილებასა, ბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქმო შედრეკილობა-კლებასა, კარგთა კაცთასა ვიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ხლებასა, და მერმე გამოჩნდეს მოედანს, ვისძი უთხრობდეს ქებასა“
34. ავთანდილცა დამორჩილდა, საუბარი გარდასწყვიდეს, იცინოდეს, ყმაწვილობდეს, საყვარლად და კარგად ზმიდეს, ნაძლევიცა გააჩინეს, ამა პირსა დაასკენიდეს: და „ვინცა იყოს უარესი, თავ-შიშველი სამ დღე ვლიდეს“.
35. კვლა ბრძანა: „მონა თორმეტი შევსხათ ჩვენთანა მარებლად, თორმეტი: ჩემად ისრისა მომრთმელად, მოსაკმარებლად; ერთი შენი შერმადინ არს მათად დასადარებლად, — და ნასროლ-ნაკრავსა სთვალვიდენ უტყუვრად, მიუმცდარებლად.“
36. მონადირეთა უბრძანა: „მინდორი მოიარენით, დასცვეით ჯოჯი მრავალი, თავნი ამისთვის არენით“  
ლაშქარნი სამზოდ აწვიენეს: „მოდით და მოიჯარენით.“  
და გაჰყარეს სმა და ნადიმი, მუნ ამოდ გავიხარენით.

### ნ ა დ ი რ ო ბ ა .

37. დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი, ძოწეულითა მოსილი, პირად ბროლ-ბალახ-შოსანი, პირ-ოქრო რიდე ეხვია, შეენოდა ქარქაშოსანი, და მეფესა გასვლად აწვევდა, მოდგა თეთრ-ტაიქოსანი.
38. შეეკაზმა მეფე, შეჯდა, ნადირობას გამოვიდეს; მრგვლივ მინდორსა მოსდგომოდეს, ალყად გარე შემოკრვიდეს; ზეიმი და ზარი იყო, სპანი ველთა დაფარვიდეს; და ნაძლევისა მათისათვის ისროდეს და ერთგან სრვიდეს.
39. უბრძანა: „მონა თორმეტი მოდით, ჩვენთანა ვლიდითა, მშვილდსა ფიცხელსა მოგვეცემდით, ისარსა მოგვართმიდითა,



ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა.“  
ღ დაიწყო მოსვლა ნადირმან ყოვლგნით, მინდორთა კიდითა..

40. მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშ-მიუწომელი,  
ირემი, თხა და კანჯარი, ქურციკი მალლად მხლდომელი.  
მას პატრონ-ყმანი გაუკდეს, — ქვრეტადმცა სჯობდა რო-  
მელი?!..

და აჰა მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი!

41. ცხენთა მათთა ნატერფალნი მზესა შუქთა წაუხშიდეს,  
მიჰყოცდეს და მიეაროდეს, მინდორს სისხლსა მიახხმიდეს;  
რა ისარნი დაელივნეს, მონანი ყე მოართმიდეს,  
ღ მკეცნი, მათგან დაკოდილნი, წალმა ბიჯსა ვერ წას-  
დგმიდეს..

42. იგი ველი გაირბინეს, ჯოგი წინა შემოისხეს,  
დაკოცეს და ამოსწყვიდეს, ცათა ღმერთი შეარისხეს,  
ველნი წითლად შეეღებნეს, ნადირთაგან სისხლი ისხეს;  
ღ ავთანდილის შემხედველთა: „ჰგავსო ალვას, ედემს ისხეს!“

43. იგი მინდორი დალივეს, მართ მათგან განარბენია,  
მინდორსა იქით წყალი დის და წყლისა პირსა კლდენია;  
ნადირნი ტყესა შეესწრნეს, სადა ვერა რბის ცხენია;  
ღ იგი მაშვრალნი ორნივე მოსწყდეს, რაზომცა მკენენია.

44. ერთმან-ერთსა, „თუ მე გჯობო“, სიცილით ეუბნებოდეს,  
ამხანაგობდეს, ლალობდეს, იქით და აქათ დგებოდეს;  
მერმე მოვიდეს მონანი, რომე მას თანა ჰყვებოდეს.  
ღ უბრძანა: „სთქვითო მართალი, ჩვენ თქვენგან არ-  
გვეთნებოდეს!“

45. მონათა ჰკადრეს: „მართალსა გკადრებთ და ნუ გემცდარებით;  
მეფეო, ყოლა ვერ ვიტყვით შენსა მაგისა დარებით:  
აწვეცა დაგვეოც, ვერა ჰგავ, ვერათ ვერ მოგვემარებით,  
ღ ვისგან ნაკრავნი გვინახავნ მკეცნი ვერ წალმა წარებით..“

46. ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ასჯერ ოცია,  
მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუკოცია,  
არ დასცთომია ერთიცა, რაც ოდენ შეუტყორცია,  
ღ თქვენი მრავალი მიწითა დასვრილი დაგვიკოცია.“

47. მეფესა ესე ამბავი უჩნს, ვითა მღერა ნარდისა,  
უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა,  
აქვს მიჯნურობა იმისი, ვითა ბულბულსა ვარდისა,  
ღ სიცილით ლალობს, მიეცა გულთით ამო-ვლა დარდისა..

48. იგი ორნივე საგრილად გარდაკდეს ძირსა ხეთასა;  
ლაშქართა შექმნეს მოდენა, მოდგეს უფროსნი ბზეთასა:  
ახლოს უთქს მონა თორმეტი, უმენესი სხვათა მკნეთასა;  
ღ თამაშობდეს ღ უკვრეტდეს წყალსა ღ პირსა კლდეთასა.

## თ ბ ვ ი ზ.

### ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხის-ტყაოსნისა.

1. ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა,  
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,  
კშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა,  
ღ ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა გულსა მდულრად ანა-  
ტირსა.
2. მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის ტყავისა.  
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა,  
კელთა ნაქელი მათრაკი ჰქონდა უსხოისი მკლავისა.  
ღ ნახეს და ნახვა მოუნდათ უცხოთა სანახავისა.
3. წავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულ-მდულარისად,  
თავ-ჩამოგდებით მტირლისა, არ ჰკრეტით მოლიზლარისად;  
მუნვე წვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ღარი სად;  
ღ ახლოს მივიდა, მოსცალდა სიტყვისა თქმად აღარისად.
4. ვერა ჰკადრა საუბარი, მონა მეტად შეუზარდა,  
დიდხან უკვრეტს გაკვირვებით, თუცა გული უმაჯარდა,  
მოაკსენა: „გიბრძანებსო“, ახლოს მიდგა, დაუწყენარდა;  
ღ იგი ტირს და არა ესმის, მისგან გაუუმეცარდა.
5. მის მონისა არა ესმა სიტყვა, არცა ნაუბარი,  
მათ ლაშქართა ზახილისა იყო ერთობ უგრძნობარი,  
უცხოდ რადმე ამოსკვნოდა გული ცეცხლთა ნადებარი;  
ღ ცრემლსა სისხლი ერეოდა, — გასდის, ვითა ნაგუბარი.
6. სხვაგან ქნის მისი გონება, მისმან თავისა წონამან!  
ესე მეფისა ბრძანება ერთხელ კელა ჰკადრა მონამან.  
არცა დაადლო ტირილი, არცა რა გაიგონა მან,  
ღ არცა გაკლიჩნა ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან.
7. რა პასუხი არა გასცა, მონა გარე შემობრუნდა;  
როსტანს ჰკადრა: „შემიტყვია, იმას თქვენნი არა უნდა;

- თვალნი მზეებერ გამირეტდეს, გული მეტად შემოდრწუნდა;  
ღ ვერ ვასმინე საუბარი, მით დავეოვნე ხანი მუნდა.“
8. მეფე გაჰკვირდა, გაცასწყრა, გული უც მისთვის მწყრომარე;  
გაგზავნა მონა თორმეტი, მისი წინაშე მდგომარე,  
უბრძანა: „კელთა აიღეთ აბჯარი თქვენ საომარე,  
ღ მიდით და აქა მომგვარეთ, ვინ არის იქი მჯდომარე,“
9. მონანი მიღგეს, მივიდეს, გაკდა აბჯრისა ჩხარია,  
მაშინლა შეჰკრთა იგი ყმა, ტირს მეტად გულ-მდუღარია,  
თვალნი მოარნა ყოველგან, ნახა ლაშქართა ჯარია,  
ღ ერთხელ ესე თქვა: „ვა მეო!“ სხვად არას მოუბარია.
10. თვალთა კელი უკუ-ივლო, ცხელნი ცრემლნი მოიწურნა,  
კრმალ-კაპარქი მოიმავრა, მკლავნი გაიმამაცურნა,  
ცხენსა შეეკდა, — მონათამცა საუბარნი რად იყურნა! —  
ღ სხვასა მკარსა გაემართა, მათნი ჰირნი არ გაჰკურნა.
11. მონათა კელი გამართეს მის ყმისა შესაჰპრობელად:  
მან გლახ ივინი დაკადნა მტერთაცა საწყალობელად,  
ჰკრნა ერთმან-ერთსა დაჰკოცნა, თავის კელ-ალუჰპრობელად,  
ღ ზოგსა გარდაჰკრის მათრაკი, მკერდამდის გასაპრობელად.
12. მეფე გასწყრა, გაგულისდა, მონანიცა შეუზახნა.  
მან მღევართა მიწვევამდის არ უჰკრიტნა, არცა ნახნა;  
რაზომნიცა მიეწიენეს, ყოვლნი მკვდართა დაასახნა;  
ღ კაცი კაცსა შემოსტყორცა, — როსტან ამად ივაგლახნა.
13. შესხდეს მეფე და აეთანდილ მის ყმისა მისაწეველად;  
იგი ლალი და უკადრი შივა ტანისა მრხეველად;  
ტაიქი მიუქს მერანსა, მიეფინების მზე ველად;  
ღ შეიგნა მისელა მეფისა მისად უკანა მღეველად.
14. რა ცნა, მეფე მოვიდაო, ჰკრა მათრაკი მისსა ცხენსა;  
მასვე წამსა დაიკარგა, — არ უნახავს თვალსა ჩვენსა —  
ჰგვანდა ქვესკნელს ჩაძრომილსა, ანუ ზეცად ანაფრენსა;  
ღ ეძებდეს და ვერ ჰპოებდეს კვალსა მისგან წანარბენსა.
15. კვალი ძებნეს და უკვირდათ ვერ პოვნა ნაკვალევისა,  
აგრე კვალ-წმიდად წარკდომა კაცისა, ვითა დევისა;  
ლაშქარნი მკვდართა სტიროდეს, სწრაფა აქვს წყლულთა  
ხვევისა.  
ღ მეფემან ბრძანა: „ვნახეო მიზეზი ლხინთა ლევისა.“
16. ბრძანა: „ღმერთსა მოეწყინა აქანამდის ჩემი შვება,  
ამად მიყო სიამისა სიმწართა დანადღვლება,  
სიკვდილამდის დამაწყლულა, ვერვის ძალ უც განკურნება;  
ღმასვე მადლი, ესე იყო წადილი და მისი ნება.“

17. ესე თქვა და შემობრუნდა, დაღრეჯილი წამოვიდა; არცალა ჰკრა ასპარეზსა, ვამი ვამსა მოურთვიდა; ყველაჲი დაიშალა, სადაცა ვინ შეეცთა სრვიდა; ღ ზოგთა თქვეს თუ: „მართალია“, ზოგი: „ღმერთო“ უზრახვიდა.
18. თინათინს ესმა მამისა ეგეთი დაღრეჯილობა; ადგა და ჯარსა მივიდა, ჰქონდა მზისაჲ ცილობა. მოლარე იკმო, უბრძანა: „ძილია თუ ღვიძილობა?“ ღ მან მოაკსენა: „დაღრეჯით ზის, სკირსო ფერ-შეცვლილობა“;
19. ერთილა ახლავს ავთანდილ, წინაშე უზის სკამითა, უცხო ყმა ვინმე უნახავს, ასრე დაღრეჯით ამითა“. თინათინ ბრძანა: „აწ წავალ, შესვლა არ ჩემგან ეამითა; ღ მიკითხოს, ჰკადრე, იყო-თქო აქა ერთითა წამითა“.
20. ხანი გამოკდა, იკითხა: „ნეტარ რასა იქს ქალიო, ჩემი ღბინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალიო?“ მოლარე ჰკადრებს: „მოვიდა აწალა ფერ-ნამკრთალიო, ღ დაღრეჯით გცნა და მიბრუნდა წინაშე მომავალიო“.
21. უბრძანა თუ: „წადი, უკმე, უმისობა ვით გავსძლეო! მოაკსენე, რად დაბრუნდი, შენ, მამისა სიცოცხლეო? მოდი, კმუნეა გამიქარევე, გულოსა წყლულსა მეწამლეო, ღ გითხრა ჩემი სამიზეზო, მე თუ ღბინთა რად დავლეო“.
22. თინათინ ადგა, მოფიდა, მოჰყვა მამისა ნებასა; უგავს პირისა სინათლე მთვარისა მოვანებასა; მამამან გვერცა დაისვა, აკოცა ნება ნებასა, ღ უბრძანა: „მოხვალ რად არა, მელი მე მოყვანებასა?“
23. ქალმან ჰკადრა: „კელ-მწიფეო, დაღრეჯილსა ვინცა გცნოდეს, ვინმცა განახა კადნიერად, რაზომ გინდა ამყობდეს!.. თქვენი აგრე დაღრეჯანი მნათობთაცა დაამყობდეს. ღ კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეკვე, კმუნვასა ესე სჯობდეს“.
24. უბრძანა: „შვილო, რაზომცა მპირს საქმე სავაგლახია, შენი კვრეტა და სიახლე ღბინადვე დამისახია, მომაქარეები სევდისა, მართ ვითა მუფარახია. ღ ვეკვე, რა სცნა, შენცა მამართლო, ჩემი სულთქმა და ახია.
- 
171. მეფე სწოლს შემოვიდა სვედიანი, დაღრეჯილი; მისგან კიდე არეინ შექუვა, ავთანდილ უჩნს ვითა შვილი. უველაჲი გაიყარა, ჯაღაბი ჩანს არ დაჰრეილი, და გაბედითდა სისხარული, ხადანს და ჩანგი ტკბილი.

25. უცხოსა და საკვირველსა ყმასა რასმე გარდვევიდე!  
მისმან შეუქმან განანათლა სამყარო და კმელთა კიდე.  
რა უმძიმდა, არ ვიცოდი, ან ტიროდა ვისთვის კიდე.  
ღ ზემად ნახვად არ მოვიდა, გავგულისდი, წავევიდე.
26. მე რა მნახა, ცხენსა შეგჯდა, თვალთა ცრემლნი მოიკოცნა;  
შესაპყრობლად შეუზახენ, სპანი სრულად დამიკოცნა,  
ვითა ეშმა, დამეკარგა, არ კაცურად გარდამკოცნა.  
ღ ჯერთცა ესე არა ვიცი, ცხადი იყო, თუ მეოცნა.
27. ტკიბლნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე გამემწარნეს,  
დამავიწყდა, რაცა ღლენი მხიარულსა წამეარნეს,  
ყოვლმან პირმან ვაგლახ მიყოს, ველარაფინ მინეტარნეს,  
ღ სადამდისცა ღლენი მესხნეს, ველარამან გამახარნეს!“
28. ქალმან ჰკადრა: „მოგაკსენებ მე სიტყვასა დანაყბედსა:  
ჰე მეფეო! რად ემღურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა,  
რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკიბლად მხედსა?  
ღ ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა!..“
29. მე ამას ვარჩევ: მეფე ხარ, მეფეთა ზედან მფლობელი,  
შორს არის თქვენი საზღვარი, ბრძანება-მიუთხრობელი,  
გაჰგზავნე კაცი ყოველგან მისთა ამბავთა მცნობელი,  
ღ ადრე სცნობ, არის იგი ყმა შობილი, თუ უშობელი“.
30. მოასხნეს კაცი, გაგზავნეს ოთხთავე ცისა კიდეთა;  
უბრძანეს: „წადით, პატიჟთა თავიმცა რად დარიდეთა!  
მონახეთ, სძებნეთ იგი ყმა, სხვად ნურად მოიცილიდეთა,  
ღ მისწერეთ წიგნი, სადაცა ვერ მისწვდეთ, ვერ მიხვიდეთა“.
31. კაცი წავიდეს, იარეს მათ ერთი წელიწადია,  
მონახეს, სძებნეს იგი ყმა, იკითხეს კელა და კელა დია,  
ვერცა თუ ნახეს მნახველი ღმრთისაგან დანაბადია,  
ღ ცუდად მაშვრალნი მოვიდეს; მისსავე გულსა ზადია.

---

31<sup>1</sup>. მონათა ჰკადრეს: „მეფეო, ჩვენ კმელნი მოვიარენით,  
მაგრა გერ ვჰპოეთ იგი ყმა, მით გერა გავიხარენით,  
მისსა მნახველსა სულდგმულსა კაცსა ვერ შეგვეარენით,  
და ჩვენ ვერა გარკეთ. საქმენი სხვანი რამ მოიგვარენით“.

31<sup>2</sup>. მეფე ბრძანებს: „მართლ იყო ასული და ჩემი ძეო:  
გნახე რამე ეშმაკისა სიჭრუე და სიბილწეო,  
ჩემად მტკრად წამოსული, გარდმოჭრადი შეცდით ზეო.  
და გამიწვია შეჭარვეთ, ანა მგამა უოლა მეო“.

თინათინისაგან ავთანდილის ხმობა:

32. ავთანდილ ჯდა მარტო საწოლს, ეცვა ოდენ მართ პერანგი, იმღერდა და იხარებდა, წინა ეღვა ერთი ჩანგი, შემოვიდა მას წინაშე თინათინის მონა ზანგი, ღ მოაკენა: „გიბრძანებსო ტანი ალვა, პირი მანგი“.
33. ავთანდილს მიხვდა მოსმენა საქმისა სანატრელისა, ადგა და კაბა ჩაიცვა, მჯობი ყოვლისა ქრელისა; უხარის შეყრა ვარდისა, არ ერთგან შეუყრელისა, — ღ ამოა ქვრეტა ტურფისა, სიახლე საყვარელისა!
34. ავთანდილ ლალი, უკადრი, მივა, არვისგან რცხვენოდა, მას ნახავს, ვისთა ვამთაგან ცრემლი მრავალ-ჯერ სდენოდა, იგი უებრო ქუშად ჯდა, ეღვისა მსგავსად ჰშვენოდა, ღ მთვარესა მისთა შუქთაგან უკუნი გარდაჰფენოდა.
35. გაცრცილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპარონი, ებურნეს მოშლით რიდენი, ფასისა თქმად საპირონი, შეენოდეს შაენი წამწამნი, გულისა გასაგმირონი, ღ მას თეთრსა ყელსა ეხვიენეს გრძლად თმანი, არ უკშირონი.
36. დაღრეჯით იყო მჯდომარე მოწეულითა რიდითა; ავთანდილს უთხრა დაჯდომა წყნარად, ცნობითა მშვიდითა. მონამან სელნი დაუდგნა, დაჯდა კრძალვით და რიდითა, ღ პირის-პირ პირსა უქვრეტდა, სავსე ლხინითა დიდითა.
37. ქალმან უთხრა საუბარი კეკლუც-სიტყვა, არ ღუბქირად; იტყვის: „თუმცა აქანამდის ჩემგან შორს ხარ დანამქირად, მიკვირს, მოგხვდა წამის-ყოფით საქმე შენგან საეჭვი რად, ღ მაგრა გითხრობ პირველ ხვალმე, სენი მე მქირს რაცა ქირად.“
38. გაესოვის, ოდეს შენ და როსტანს მიწლორს მკეცი დაგეკოცა, ყმა გენახა უცხო ვინმე, რომე ცრემლი მოეკოცა?.. მასუკანით გონებამან მისმან ასრე დამამეკოცა, — ღ შენ გენუკვი მონახვასა, კილით კიდე მოლაკო ცა.
- 
- 31<sup>ა</sup>. ესე თქვა და სისარუ. თთ თამაშობა აღიადა.  
შგოსანი და მუშაითი ჟემეს, ჰჰოკეს, რაღა სიდა.  
დაა გასცა საბოძგარო, ეველა დარბაზს შეშაკადა.  
და მისი მსგავსი სიუხეთა დმერთმან სხვაგან რა დაბადა!
- 36<sup>ა</sup>. ემამან ჰკადრა: „საზაროსა ჩემგან თქმა-ღა ვით იქმნების?  
— მფესა მთვარე შეეუაროს, დაიღვეის, დაცასტკნების. —  
ახრად არად აღარა მცაღს, თაფი ჩემი მეკონების.  
და თქმანემ ბრძანეთ, რაცა კამძაშს, ანუ რაცა გემწრუნების.“

39. აქანამდის ნაუბარსა თუცა ვერას ვერ გეტყვია, მაგრა შორით სიყვარული შენგან ჩემი შემიტყვია, ვიცი, რომე განუწყვეტლად თვალთათ ლაწვი გისეტყვია, ლ შეუპყრიხარ სიყვარულსა, გული შენი დაუტყვია.
40. ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამდ ორად: პირველ ყმა ხარ, კორციელი არვინა გყავს შენად სწორად, მერმე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია არ ნაქორად; — ლ წადი, იგი მოყმე სძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად.
41. შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე, რომე დამქსნა შექირება, ეშმა ბილწი ასაპყარე, გულსა გარე საიმედო ია მოპრგე, ვარდი ჰყარე, ლ მერმე მოდი, ლომო, მზესა, შეგეყრები, შემეყარე.
42. სამსა სძებნე წელიწადსა იგი შენი საძებარი; ჰპოვო, მოდი გამარჯვებით, მხიარულად მოუბარი; ვერა ჰპოებ, დავიჯერებ, იყო თურე უჩინარი; ლ კოკობი და დაუფრქვენელი ვარდი დაგხედე, დაუმქნარი.
43. ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევიერთო რაცა ქმარი, მზეცა მომხედეს კორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი, სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვე-სკნელს ვიყო დასანთ-ქმარი; ლ შენი მკლევდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი“.
44. ყმამან ჰკადრა: „აჰა, მზეო, რადგან ღმერთმან მზედ დაგბადა, მით გმორჩილობს, ზეციერი მნათობია რაცა სადა; მე რომ თქვენგან მოვისმინე, წყალობანი მელიადა; ლ ვარდი ჩემი არ დაქნების, შუქი შენი იეთადა“.
45. კვლა შეჭფიცეს ერთმან-ერთსა, დააპირეს ესე პირი. გასაღდეს და გაამრავლეს საუბარი სიტყვა-კვირი, — გააღვილდა, აქანამდის გარღვეადა რაცა ქირი — ლ თეთრთა კბილთათ გამოპყრთების თეთრი ელვა, ვითა კვირი.
46. ერთგან. დასხდეს, ილალობეს, საუბარი ასად აგეს: ბროლ-ბალახში შეხვეული და გიშერი ასადაგეს; ყმა ეტყვის თუ: „შენთა მკვრეტთა თავი ხელი ა სად აგეს, ლ ცეცხლთა, მანდით მოდებულთა, გული ჩემი ასადაგეს“.

43<sup>1</sup>. მოაკსენა ყმამან: „მზეო, ვინ გიშერი აწამწამე!.. სხვა მასუსი რამცა გკადრე, ანუ რამცა შეგაწამე?! მე სიკვდილსა მოველოდდი, შენ სიტყვსზე გამაწამე, და ვითა მონა, სამსახურად გაღანამცა წაგეწამე“.

47. ყმა წავიდა, სიშორესა თუმცა მისსა ვერ გასძლებდა;  
უკუღმავე იხედვიდა, თვალთა რეტად აყოლებდა.  
ბროლსა სეტყეს და ვარდსა აზრობს, ტანსა მკვერსა ათრო-  
ლებდა.  
ღ გული ჰქონდა გულისა-თვის, სიყვარულსა ავალებდა.
48. თქვა: „მზეო, ვარდსა სიშორე შენი დამაჩნდეს ეს აღრე,  
ბროლი და ლალი გასრულ-ვარ ქარვისა უყვითლესად-რე;  
მაშინ რაღა ვჰქმნა, ვერ-ჰკრეტა რა მომხედეს კვლა უგრძე-  
სად-რე?  
ღ ეამს მოყვრისათვის სიკვდილი, - ესე მე დამიც წესად-რე.“
49. საწოლს დაწვა, ტირს, მტირალსა კრემლი ძნელად ეკო-  
ცების,  
ვითა ვერხვი ქარისაგან, ირხევის და იკეცების;  
რა მიპლულუნის, სიახლოვე საყვარლისა ეოცების,  
ღ შეჰკრთის, დიდი დაიზახის, მით პატიჟი ეოცების.
50. მოშორებთ: საყვარლისა მას შეჰქმნოდა მისად ღაზოდ;  
კრემლსა, ვითა მარგალიტსა, ჰყრის ვარდისა დასანაზოდ;  
რა გათენდა, შეეკაზმა მისთა მკვერეტთა სალამაზოდ,  
ღ ცხენსა შეჯდა, გაემართა, დარბაზს მივა სადარბაზოდ.

**ავთანდილისაგან შეფესთან მისვლა სადარბაზოდ,  
ოღეს გაეყარა.**

51. დარბაზს ეჯიბი შეგზავნა, მართ მისგან შენარონია,  
შესთვალა: „გკადრებ, მეფეო, მე ესე გამიგონია:  
ყოველი პირი მიწისა თქვენ კრმლითა დაგიმონია,  
ღ აწ თუ სჯობს, ესე ამბავი სცნან, რაცა გარემონია.“
52. მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო,  
თინათინის კელ-მწიფობა მტერთა თქვენთა გულსა ვჰგმირო,  
მორჩილ-ქმნილნი გავახარო, ურჩი ყოვლი ავატირო,  
ღ ძღვენნი გკადრნე ზედა-ზედა, არ სალამი დავაძვირო.“
53. შეფესა ეთქვა ამისი: დიადი მადრიელობა,  
ებრძანა: „ლომო, არა გკირს შენ ომთა გამდრეკელობა,  
აწ მაგა შენსა თათბირსა ჰგავსო შენივე ქველობა;  
ღ წა, მაგრა მომხედეს, რაღა ვჰქმნა, თუ სიშორისა გრძე-  
ლობა!“
54. ყმა შევიდა, თაყვანის სცა, მადლი რამე მოაკსენა:  
ჩკელ-მწიფეო, მიკვირს, ქება რად იკადრე ჩემი თქვენა,



აწ ნუთუ კელა სიშორისა ლმერთმან ბნელი გამითენა,  
ღ პირი თქვენი მხიარული მხიარულსა კელა მიჩვენა!“

55. მეფე კელსა მოეკიდა, გარდაჰკოცნა, ვითა შეილი.  
სხვა მათებრი არ ყოფილა, არ გამზრდელი, არ გაზრდილი!..  
ყმა აღგა და წამოვიდა, მას დღე მათი ჩანს გაყრილი;  
ღ როსტან მისთვის აატირა გონიერი, გული ლბილი.

**ავთანდილ შერმაღანს დაადებს თავის  
წილ სპასპეტად.**

56. გამოემართა ავთანდილ, მოყმე მკნე, ლალად მაგალი.  
ოც დღე იარა, ლამესა დღე ზედა წართო მრავალი.  
იგია ლხინი სოფლისა, იგია ნიეთი და ვალი,  
ღ არ მისცილდების თინათინ მისი მას, ვისგან სწვავს ალი.
57. რა მივიდა, სიხარული შიგან გაჰკდა სამეფოსა,  
მოეგებნეს დიდებულნი, ძღვენსა სძღვნიდეს იეფოსა.  
იგი პირ-მზე არ მოსცთების სიარულსა სასწრაფოსა;  
ღ მიხვდეს მყოფნი მას წინაშე სიხარულსა სადაფოსა.
58. ქალაქი ჰქონდა მაგარი, საზაროდ სანაპიროსა,  
გარე კლდე იყო, გიაბობ, ზღუდესა უქვითკიროსა,  
ყმამან მუნ დაჰყო სამი დღე ამოსა სანადიროსა,  
ღ გაზრდილი მისი შერმაღან დაისვა საეაზიროსა.
59. ესეა მონა შერმაღან, ზემოდცა სახელ-დებული,  
თანა-შეზრდილი, ერთგული და მისთვის თავ-დადებული;  
მან არ იცოდა აქამდის მის ყმისა ცეცხლი დებული;  
ღ აწ გაუცხადა სიტყვები მის მზისა იმედებული.
60. უბრძანა: „აჰა, შერმაღან, ამაღ მე შენგან მრცხვენიან.  
ჩემნი საქმენი ყოველნი გკოდნიან, გაგივლენიან,  
მაგრა არ იცი აქნადის, რანიცა კრემლნი მდენიან!  
ღ მე ვისგან მქონდეს პატიენი, აწ მასვე მოუღბენიან.
61. მიბრძანა: „მიცან ამბავი მის ყმისა დაკარგულისა,  
მოხვიდე, სრულ-ვქმნა მაშინა შენი წადილი გულისა;  
ქმარი არ მინდა უშენო, მომხვდების ხისა რგულისა!“  
ღ მომცა წამალი გულისა, აქამდის დადაგულისა.
62. პირველ ყმა ვარ, წასვლა მინდა პატრონისა სამსახურად,  
—კამს მეფეთა ერთგულობა, ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად—  
მერმე ცეცხლი დაუვისა, აღარა მწვავს გულსა მურად,—  
ღ კამს თუ, კაცი არ შეუღრკეს ქირს, მიუკდეს მამა-  
ცურად.

63. ვართ უმოყვრესი მე და შენ ყოველთა პატრონ-ყმათასა, ამისთვის გნუკავ სმენასა შენ ამა ჩემთა კმათასა; ჩემ-წილ დაგაგდებ პატრონად, თავადად ჩემთა სპათასა, ღ ამა საქმესა ვერა ვიქ მე განდობასა სხვათასა.
64. ლაშქართა და დიდებულთა ალაშქრებდი, პატრონობდი, დარბაზს კაცსა გაგზავნიდი და აზბავსა მათსა სცნობდი, წიგნსა სწერდი ჩემაგიერ, უფასოსა ძღვენსა სძღვნობდი, ღ აქა სადმე არ ყოფასა ჩემსა მათმცა რად აგრძნობდი!
65. ლაშქრობა და ნადირობა შენი ჩემსა დაასახე, აქათ სამ წელ მომიცადე, ხეაშიადი შემიწახე, მე ნუთუმცა შემოვბრუნდი, ალვა ჩემი არ დაქნა ხე; ღ არ მოვბრუნდე; მომიგლოვე, მიტირე და მივაგლახე.
66. მაშინლა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურვალთა, აცნობე ჩემი სიკვდილი, იყავ მართ ვითა შთერალთა; მიხვედა-თქო საქმე, რომელი ყოველთა-თვის გარდუვალთა. ღ გლახაკთა მიეც საქურქლე, ოქრო, ვეცხლი და რვალთა.
67. მაშინ უფრო მომეკმარე, ამისგანცა უფრო მკენდრე, ნუ თუ აღრე დამივიწყო, მაკსენებდე ზედა-ზედრე! მეტად კარგად დამიურვე, სული ჩემი შეიფედრე, ღ ზრდანი ჩემნი მოიგონენ, გული შენი მოიმღებდრე“.
68. რა მონამან მოისმინა, გაუკვირდა, შეეზარა, თვალთათ, ვითა მარგალიტი, ცრემლი ცხელი გარდმოჰყარა, მოაკსენა: „უშენომან გულმან რამცა გაიხარა! ღ ვიცი, რომე არ დასდგები, მაგას გიშლი ამად არა.
69. ჩემად ნაცვლად დაგაგდებო, --ესე სიტყვა რად მიბრძანე? რა გვარა ვჰქმნა პატრონობა, რამც გიფერე, რამც გიგვანე? შენ მარტოსა გიგონებდე, მემცა მიწა ვიაკვანე! ღ სჯობს, ორნივე გავიპარნეთ, წამოგყვები, წამიტანე“.
70. ყმამან უთხრა: „მომისმინე, მართლად, გითხრობ, არა  
კრელად:  
რა მიჯნური ველთა ჰრბოდეს, მარტო უნდა გასაჰკრელად;  
მარგალიტი არვის მიხვდეს უსასყიდლო, უვაჰკრელად,  
ღ კაცი ცრუ და მოღალატე კამს ლახვრითა დასაჰკრელად.
71. ვისმცა უთხარ ხეაშიადი, შენგან კიდე არვინ ვარგა, უშენოსა პატრონობა ვის მივანდო, ვინ იქმს კარგა?!. სანაპირო გაამაგრე, მტერმან ახლოს ვერ იბარგა; ღ კვლა ნუთუმცა შემოვიქეც, ღმერთმან სრულად არ დამკარგა.

72: ფათერაკი სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი; მარტოობა ვერას მიზამს, მცავეს თუ ცისა ძალთა დასი; აქათ სამ წელ არ მოვიდე, მაშინ გმართებს გლოვა, ფლასი, ლ წიგნსა მოგცემ, გმორჩილობდეს, ვინცა იყოს ჩემი ხასი.“

## თ ა ვ ი ი ბ.

### წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი.

1. წიგნი მომართვა—ჩაეხედენ პირისა თემთა მთენისა.  
ეწერა: „ენახე სიტურფე წყალ-ჯაეარისა შენისა.  
ომ-გარდაყდილი ჰშეენოდი, შენატევები ცხენისა;  
ლ არ ავი მიჩანს მიზეზი ჩემისა ცრემლთა დენისა.“
2. იგი მე მომეც რიდენი, რომელნი წელან გშეენოდეს.  
რა მნახო, შენცა გაამოს, შენეულითა შშეენოდეს;  
ესე სამკლავე შეიბი, თუ ჩემი გალაგვლენოდეს,—  
ლ ერთი ასეთი ცოცხალსა სხეა ლამე არ გაგთენოდეს!“
3. აქა მკეც-ქმნილი ტარიელ ტორს, ქირი ეათასების,  
თქვა: „მე მაქვს სამკრე, რომელი კვლა წინას მკლავესა.  
მას ების!“

იგი შეიკნა, მოილო, —თვალვით არ დაიფასების!  
ლ პირსა დაიდვა, დაცაბნდა, ქვე მკვდართა დაესახების.

4. ასრე წვა, რომე არ ჰგვანდა მკვდარი სამარის კარისა,  
ორგნით ჩანს ლები მჯილისა, მართ გულსა გარდნაკარისა,  
ასმათს სდის ლეარი სისხლისა, ლაწვთაგან ნახოკარისა,  
ლ კვლა წყალსა ასხამს, უშველის, ემა ისმის მუნ წკან-  
წკარისა.

- 
11. დმერთმან თუმცა ენა ჩემი ქებად შენდა უშენოსა,  
შენთვის მკვლარი, აღარ ვიტყვი, მაშა მომკლავ უშენოსა;  
მზემან ლომსა ვარდ-გიშერი ბაღჩას ბაღად უშენოსა,—  
და შენმან მზემან, თაფი ჩემი არვის ჰმართებს უშენოსა!
  12. თუცა მიგდის ლგარი ცრემლთა, მაგრა ცრუდად არ იდგნო;  
ამას იქით ნუღარ სტორი, ჰირსა თაფი არიდგნო;  
შენნი მჭერეტნი შენთა მჭერეტთა აგინებენ, არ ჰრიდგნო;  
და რომე წელან მოგეხეიფენს; იგი ჩემთვის არიდგნო.

5. ავთანდილცა სულ-თქნა მწარედ, დაბნედილსა შემოს-  
კვირტნა;  
ასმათ ვაშნი გაამრავლნა, ცრემლმან მისმან ქვანი კვირტნა;  
მერმე სულად მოაქცია, ცეცხლნი წყლითა დაუშრიტნა;  
ღ თქვა: „სოცხალ-ვარ, საწუთრომან აწცა ჩემნი სისხლნი  
ჰხერიტნა“.
6. ზე წამოჯდა ფერ-მიკდილი, აყოლებდა თვალთა რეტად-  
ვარდი სრულად შექმნილ-იყო ზაფრანად და ვითა სპეტად-  
დიდ-ხან მათდა არა სცალდა საუბრად და არცა ჰვრეტად,  
ღ დარჩომა და არ-სიკედილი მას უმძიმდა მეტის-მეტად.
7. ავთანდილს უთხრა: „ისმენდი, ცნობა მიც თუცა ხელისა!  
გითხრა ამბავი ჩემი და ჩემისა დამმარხველისა;  
ლხინად მიჩნს შეყრა მოყვრისა მის, შენგან შეუყრელისა,  
ღ მე მიკვირს ჩემი სიცოცხლე, ასრე დარჩომა მრთელისა!“
8. ასმათის ნახვა მიამა, ჩემგან დბდ საესავისა.  
წიგნი რა ვნახე, მომართვა ესე საბაში მკლავისა.  
მკლავსა შევიბი მაშინვე, მოვიკსენ რიდე თავისა,  
ღ იგი უცხო და ღარიბი მტკიცისა რასმე შავისა“.

## თ ა ვ ი ი ბ.

### წიგნი ტარიელისა საყვარელსა-თანა მინაწერი პასუხად.

1. მიუწერე: „მზეო, შუქი შენი, შენგან მონაფენი,  
გულსა მეცა; გამიცუდლეს სიჩაუქე, სიალფენი;  
ხელმან შენი განვიცადენ სინატიფე, სიტურფენი;  
ღ სულთა ნაცვლად სამსახური რამცა ვითა გიმუქტენი?“
2. მაშინ ოდეს დამარჩინე, სულთა სრულად არ გამყარე,  
აწცა ჩემთვის ესე ჟამი მასვე ჟამსა დაეადარე;  
სამკრე შენი მომივიდა, შემოვიბი მკლავსა გარე,  
ღ რომე მართებს სიხარული, ეგზომიმცა რა ვიხარე?!
3. განალამცა ვიწინაშე, აჰა რიდე, რომე მთხოვე;  
ყაბაჩაცა ასეთივე, ამისებრი ვერა ჰპოვე;  
დაბნედილსა ნუ დამაგდებ, მიშველე რა, მარგე, მოვე-  
და სოფელს მყოფსა უშენოსა კაცსა ვისმცა შევეპოვე!“

4. ქალი ადგა, გამეყარა. დავწევ, ამოდ დამეძინა;  
მაგრა შევეკრთი, — საყვარელი ჩემი ვნახე ძილსა შინა;  
გამეღვიძა, აღარა მყვა, — სულ-დგმულობა მომეწყინა.  
ღ ღამე ასრე გავათენე, მისი კმაცა არ მესმინა.
5. დილასა აღრე სრას მიკმეს, დღე რა ჰქმნა მწუხრმან ქამითა,  
ავდგე, ცუან მათი ამბავი, წასვლა ვქმენ მითვე წაშითა;  
ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს სახითა ოდენ სამითა;  
ღ რა მიველ, მითხრეს დაჯდომა; წინაშე დავჯე სკამითა.
6. გვიბრძანეს თუ: „ღმერთმან ასრე დავგებერა, დაცაველია,  
ქამი გვახლავს სიბერისა, სიყმაწვილე გარდგვივლია;  
ყმა არ მოგვცა, ქალი გვივის, ვისგან შუქი არ გვაკლია;  
ღ ყმისა არ-სმა არად გვაგვა, ამაღ ზედან წავგვივლია.
7. აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ,  
რომე მივცეთ ტახტი ჩვენი, სახელ ჩვენად გამოვსახოთ,  
სამეფოსა ვაპატრონოთ, საკელ-მწიფო შევანახოთ,  
ღ არ ამოვსწყდეთ, მტერთა ჩვენთა კრმალი ჩვენთვის არ  
ვამახოთ?“
8. ვთქვი: „თქვენი ძისა არა-სმა გულისა ვით მიეფარების,  
მაგრამ კმა ჩვენად იმედად, ვინ მზესა დაედარების;  
ვისცა სთხოვთ შეილსა სასიძოდ, მას დიდად გაეხარების.  
ღ სხეამცა რა გკადრე! თვით იცით, მაგას რა მოეგვარების.“
9. დავიწყეთ რჩევა საქმისა, გული უც, თუცა მელია;  
ვთქვი: „ჩემგან დაშლა ამისი არ ითქმის, არ საქმნელია!“  
მეფემან ბრძანა: „ხვარაზმ-შა, კელ-მწიფე ხვარაზმელია,  
ღ თუ მოგვცემს შეილსა საჩვენოდ, მისებრივ არ-რომელია.“
10. რომე პირველვე დაესკვნა, მათ ესე შეეიტყვებოდა;  
ერთმან-ერთსაცა უქვერეტდეს, სიტყვაცა აგრე სწებებოდა.  
ჩემგან დაშლისა კადრება მართ ამბად არ ეგებოდა;  
ღ ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მიდამო ჰკრთებოდა.
11. დედოფალმან თქვა: „ხვარაზმ-შა მეფეა მორკმით მჯდომელი;  
მათსამცა შეილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდა რომელი!“  
შეცილებამცა ვით ვჰკადრე, რადგან თვით იყო მდომელი!  
ღ მოწმობა დავრთე, დაესკვნა დღე ჩემი სულთა-მკდომელი.
12. გავზაუნეს კაცი ხვარაზმ-შას წინა შეილისა მთხოველი;  
შესთვალეს: „გაკდა უმკვიდროდ სამეფო ჩვენი ყოველი;  
არს ერთი ქალი საძეო, არ-კიდე გასათხოველი,  
ღ თუ მოგვცემ შეილსა სამისოდ, სხვასა ნუღარას მოელი.“
13. კაცი მოვიდა. აევსო ჯუბაჩითა და რიდითა,  
გახარებოდა ხვარაზმ-შას სიხარულითა დიდითა;

- ებრძანა: „მოგვხვდა ღმრთისაგან, ჩვენ რომე ვინატრიდითა;  
ღ თვით მაგისებრსა შეილსამცა ჩვენ კელსა რასა ვედიდითა!“
14. კვლა გაგზავნეს სხვანი კაცნი სასიძოსა მოყუანებად,  
დაავერდეს: „ნუ აყოვნებთ, მოდით ჩვენად ნაბრძანებად.“  
მე მაშერალი, ნაბურთალი, საწოლს შეველ მოსვენებად;  
ღ გულსა სევდა შემეყარა, ვიწყე ჰირთა მოპოვნებად.
15. მეტმან სევდამან მიმწუხრა გულსა დაცემად დანისად.  
ასმათის მონა შემოდგა, მე ვჯე ლალი და ჯანისად;  
წიგნი მომართვა, ეწერა: „ვინ სჩან ალვისა ტანისად,  
ღ აღრე მოდიო, გიბრძანებს, დაუყოვნებლად ხანისად!“
16. შევეჯეგ, წაველ, ბაღჩას მიველ, ვითა სცნობდე, ღობითა  
ზომით;  
ბაღჩა შევევლე, კოშკი დამხვდა, ასმათ ვნახე ძირსა დგომით;  
ვნახე, ვსჭვრეტლი ნატირებად, ცრემლი აჩნდა ღაწვთა  
წომით;  
ღ დამიმძიმდა, არა ვპკითხე. ჩემი სჭირდა მისვლა ნდომით.
17. ჩემნი ერთნი გონებანი მეტად შორად გამიკიდნა,  
შინა კოშკად შემიყუანა, ფარდასაცა ამიზიდნა.  
შეველ, ვნახე იგი მთვარე; ჰირმან ოვლმან უკუ-მრიდნა,  
ღ გულსა შუქი შემომადგა, მაგრა გული არ დამიდნა,
18. იყო არ ნათლად ნათელი, ფარდაგსა შემომდგომელი;  
ებურა მოშლით ჰირ-ოქრო, მე მივეც, რიდე, რომელი;  
მითვე მწვანითა უებრო მიწოლით ტახტსა მჯდომელი;  
ღ ცრემლისა ღვარსა მოეცვა ჰირი, ელვათა მკრთომელი.
19. ქვე წვა, ვით კლდისა ნაპირსა ვეფხი ჰირ-გამეხებული,  
არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე-ალვა, ედემს ხებული;  
ასმათმან დამსუა შორს-გვარად გულსა მე ღახვარ-ხებული;  
ღ მერმე წამოჯდა წარბ-შერქმით, გამწყურალი, გარისხებული.
20. მიბრძანა: „მიკვირს, რად მოხველ მშლელი ჰირისა მტკიცისა.  
გამწირაფი და მუხთალი, შენ, გამტეხელი ფიცისა;  
მაგრა ნაცვალსა პასუხსა მოგცემსო ზენა მის ცისა!“  
ღ ვპკადრე: „რა გკადრო პასუხი მის ჩემგან, მე უვიცისა?“
21. ვთქვი: „პასუხსა ვერას გკადრებ, თუ არა ვსცნობ მე  
მართალსა;

16<sup>1</sup> იგი ვნახე დაღრუჯიდი, ესე მეტად დამიმძიმდა.  
ვითა წინას შემომცინის, არდა ეგრე გამიდიმდა.  
ყოლე სიტყვა არ შომიგო, თდეხ ცრემლთა გადმოსწვამდა.  
და ასმათ უფრო დამაწყლუდა, არა წყლუთა შიამქიმდა.

რა შეგცოდნე, რა მიქმნია უცნობოსა, ფერ-ნამკრთალსა.“  
კვლაცა მითხრა: „რას გეუბნო მტყუანსა და შენ მუხთალსა!  
ღ ღიაცურად რად მოვლორდი, მე დაუწევად ამით აღსა.

22. შენ არ იცი ხვარამზ-შასი საქმროდ ჩემად მოყვანება?!  
შენ ჯდომილხარ სავაზიროდ, შენი რთულა ამას ნება,  
შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება.  
ღ ღმერთმან ჰქმნას და დაგარჩინო ცულად შენი კე-  
ლოვენება!

23. გაქსოვს, ოდეს „ჰაი“ ჰზმიდი, ცრემლნი შენნი ველთა-  
ჰბანდეს.

მკურნალნი და დასტაქარნი წამალსა-ყე მოგიტანდეს?  
მამაცისა სიცრუვესა ნეტარ სხვანი რამცა ჰგვანდეს!  
ღ რადგან დამთმე, მეცა დაგთმობ, ვინ-ძი უფრო დაზიანდეს!

24. ამას ვებრძანებ: „ვინცა გინდა ეპატრონოს ინდოეთსა,  
ეგრეცმე მაქვს პატრონობა, უგზოდ ვლიდენ, თუნდა გზეთსა!  
ეგე აგრე არ იქმნების, აწ მომცდარხარ, მო-საცეთსა;  
ღ აზრნი შენნი შენვე გგვანან მტყუანსა და შენ აგეთსა!

25. ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო:  
თუ ეცადო დაყოფასა, კორცთა შენთა სული გაჰყო!  
სხვა ჩემებრი ვერა ჰპოვო, ცათამდისცა კელი აჰყო!“  
ღ ესე სიტყვა დაასრულა, ყმა ატირდა, სულ-თქნა, აჰ-ჰყო.

26. თქვა: „რა მესმა ესე მისგან, მეიმედა მეტის-მეტად,  
კვლა მიეცა თვალთა ძალი მის ნათლისა ეგრე ჰკრეტად-  
აწ დავჰკარგე; რად არ გიკვირ, რად ცოცხალ-ვარ, რად  
ვარ რეტად?  
ღ ვა, სოფელო უხანოო, რად ჰზი სისხლთა ჩემთა ხვრეტად!

27. შევხედენ, ვნახენ სასთუნალ მუსაფი გაშლით მდებარე,  
ავიდე, ავდეგ მე ღმრთისა და მერმე მათი მქებარე,  
ვჰკადრე თუ: „მზეო, დაგიწვავ, ჩემიცა დაწვა მზე ბარე;  
ღ რადგან არ მომკლავ, პასუხი ერთაი გკადრო მე ბარე;

28. რომე გკადრებ, ესე სიტყვა აწ თუ ცულად ნალიქნია,  
ცამცა მრისხავს, მზისა შუქნი ყოლე ჩემთვის ნუშუქნია!  
თუ მალირსებ გაკითხვასა, ავი არა არ მიქმნია.“  
ღ მან მიბრძანა: „რაცა იცი, სთქვიო,“ თავი დამიქნია.

29. კვლაცა ვჰკადრე: „მე თუ, მზეო, შენთვის ფიცი გამეტეხოს,  
ღმერთმან აწვე რისხვა მისი ზეციით ჩემთვის გაამეხოს!  
ვისი გინდა უშენოსა, პირი მემზოს, ტანი მებოს!  
ღ მაშა მაშინ როგორ დავრჩე, რა ლახვარი გულსა მებოს!

30. მე მეფეთა ღარბაზს მიკმეს, შეკქმენს დიდი ვაზირობა,  
მათ წინასვე დაეპირა იმა ყმისა შენი ქმრობა.  
დამეშალა, - ვერ დაეშლიდი, დამრჩებოდა უმეტრობა;  
ღ თავსა უთხარ, - მიემოწმე ეამად გიჯობს გულ-მაგრობა!
31. მემცა დაშლა ვითა ვჰკადრე, რადგან იგი ვერ მიმხვდარა,  
არ თუ იცის, ინდოეთი უპატრონოდ არ გამქდარა!  
ერთი მე ვარ მემამულე, სხვასა ჰმართებს არად არა.  
ღ ვის მოიყვანს, არა ვიცი, ანუ იგი ვინ მომცდარა?!
32. ვთქვი, ამითა ველარას ვიქმ, ღონე სხვა რამ მოვაგეარო;  
თავსა უთხარ, - ნუ მოგიცავ, გონებაო მრავალ-გვარო!  
მელდა გული მეციცისაებრ, ათასჯერცა მინდორს ვარო;  
ღ ვისმცა მივეც თავი შენი, შენვე რად მე არ წამგვარო?!
33. სულთა ვყიდდი გულისათვის, კოშკი ამაღ გამებაზრა;  
იგი წვიმა დარენელდა, რომე პირველ ვარდი ახრა;  
ვნახე, ძოწსა მარგალიტი ვარე ტურფად მოემაზრა;  
ღ მიბრძანა თუ: „ეგე საქმე მემცა მართლად რად მიაზრა?!
34. არ დავიჯერებ მე შენსა ღალატსა, ორ-გულობასა,  
უარის-ქმნასა ღმრთისასა, ამისთვის არ-მადლობასა;  
იაჯდი თავსა ჩემსა და მორქმით ინდოეთს ფლობასა,  
ღ მე და შენ დავსხდეთ კელ-მწიფედ, სჯობს ყველას სიძე-  
სძლობასა!“
35. მე ღმობიერად მომიტება გამწყრალი, გამქისებული;  
ანუ მზე იყო ქვეყანად, ან მთვარე პირ-გავსებული;  
ახლოს დამისვა დამიტება - აქამდის არ-ღირსებული,  
ღ მეუბნებოდა, - „დამივსო ცეცხლი, ამითა გზებული!“
36. მიბრძანა ოუ: „გონიერი, კამს, აროდეს არ აჩქარდეს,  
რაცა სჯობდეს, მოაგვაროს, საწუთროსა დაუწყნარდეს;  
თუ სასიძო არ მოუშვა, ვა თუ მეფე გაგიმწარდეს,  
ღ შენ და ისი წაიკიდნეთ, ინდოეთი გარდაჰქარდეს!
37. კვლა თუ სიძე შემოუშვა, მე შემირთოს, იყოს ასდენ,  
ერთმან-ერთსა გავეყარნეთ, ძოწეულნი გავგიფლასდენ,  
მათ მორქმულთა-მოივლინონ, ჩვენ პატიენი გავვიასდენ.  
ღ ეგე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გავვიხასდენ!“
38. მე ვჰკადრე: „ღმერთმან აშოროს მას ყმასა შენი ქმრობა!..  
რა შემოვიდენ ინდოეთს, შევიგნა მათი გვარობა,  
უჩვენო ჩემი ძალ-გული და ჩემი მეომარობა:  
ღ ასრე დავკოცნე, შეეძლოს აღარას არ-საკმარობა!“



39. მიბრძანა თუ: „კამს დიაცი დიაკურად, საქმე-დედლად, დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ, ვერ ვიქმნები შუა-კედლად, რა მოვიდეს, სიძე მოჰკალ, მათთა სპათა აუწყვედლად. ლ ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს კმელსა ნედლად.
40. იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა ჩემსა, მამასა; ჰკადრე თუ: „სპარსთა ვერა ვიქმ ინლოეთისა ჰამასა, ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა, ლ არ დამეკსნები, გაგიკდი ქალაქსა, ვითა ტრამასა!“
41. ჩემი ყოლა ნურა გინდა სიყვარული, ნურცა ნდომა, ამით უფრო შოგეცემის სამართლისა შენ მოკდომა; ჰქმნას მეფემან ყელ-მოტეხით შემოხვეწა, შემოკვდომა, — ლ კელთა მოგცე თავი ჩემი, შეგვეფეროდეს ერთგან სხდომა!“
42. ესე შეტად მომეწონა თათბირი და გამორჩევა, ჩემთა მტერთა დავაქადე დასაკოცლად კრმლისა ქნევა; მერმე ავდეგ წამოსაველად, მან დამიწყო ქვე-ქვე წვევა; ლ მწადდა, მაგრა ვერ შევემართე შემოჰქდომა, შემოხვევა!
43. ხანი დავჰყავ, გავეყარე, მაგრა გავკე, ვითა ხელი. ასმათ წინა ჩამომიძღვა. ჩამდიოდა ცრემლი ცხელი. ჰირი ბევრ-ჯელ ვაათასე, ლხინი ჩემი ვაერთხელი. ლ მერმე წასვლა არა მწადდა, ამად მივალ არ ფიცხელი.

## თ ა ვ ი ი ჯ.

ფრიდონის მიერ ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა  
ოდეს ტარიელს უამბო.

1. დღესა ერთსა მე და მეფე ნადირობას გამოვედით, ზღვასა ზედან წაწურვილსა ქედსა რასმე გარდავედით; ფრიდონ მითხრა: „გითხრობ რასმე, ვთამაშობდით, ცხენსა ვსხედით. ლ ერთი რამე საკვირველი მე ენახეო ამა ქედით!“

---

39<sup>1</sup> ასრე ჰქმენ, ჩემო ღმომო და მჯობო ყოველთა გმირთაო, შიპარგით მოჰკად სისიძო, დაშქართა ნუ მოირთაო, მისთა სპათაცა ნუ დაკოც, ზროხათა ვითა, — გმირთაო. და დიადი სისხლი უბრალო. კაცმანცა ვით იტვირთაო!

2. მე ვპკითხვედი, ფრიდონ მეტყვის მართ ამბავსა ესოდენსა:  
„ღღე ერთ მწაღდა ნადირობა, შევეჯე ამა ჩემსა ცხენსა;  
— ზღვათა შიგან იხვსა ჰგვანდა, კმელთა ზედან შავარდენსა—  
ღ აქა ვღეგ და თვალ-უგებლი ქორსა, იქით განაფრენსა.“
3. ზოგჯერ ზღვითყენ მივიხედნი, წავსდგომოდი ამა გორსა:  
ზღვასა შიგან ცოტა რამე დავინახე, თუცა შორსა.  
ეგრე ფიცხლა სიარული არას ძალ-აქვს მისსა სწორსა.  
ღ ვერად ვიცან, გონებასა გავეკვირე ამდ ორსა.
4. ეთქვი,— რა არის, რას ვამსგავსო, მფრინველია ანუ მკეცი?!  
ნავი იყო, გარ-ეფარა სამოსელი მრავალ-კეცი;  
წინა კაცნი მოზიდვიდეს. თვალნი ამაღ დაუაცეცი,  
ღ მთვარე უჯდა კიდობანსა, ცა მეშვიღე მასცა ვე-ცი!
5. ამოძვრენს ორნი მონანი შაენი, მართ ვითა ფისანი,  
ქალი გარდმოსევს, სისხონი ენახენ მისისა თმისანი.  
მას რომე ეღვა ჰკრთებოდა, თვალნიმცა ჰგვანდეს რისანი!  
ღ მან განანათლა სამყარო; გაცუღდეს შუქნი მზისანი!
6. სიხარულმან ამაჩქარა, ამათრთოლა, დაცამღეწა,  
იგი ვარდი შემეყვარდა, რომე თვალსა იახეწა:  
დავაპირე შეტევება, ეთქვი,— წავიღე მათყენ მე-წა:  
ღ ჩემსა შავსა სულიერი რამცა ვითა გარდებეწა!
7. ცხენი გავქუსლე, იქმოდეს შამბი კმასა და სრიალსა;  
ველარ მიუსწარ, გამესწრნეს, რაზომცა ესცემდი წრტიალსა!  
ზღვის-პირსა მიველ, შევხედენ, ჩნდა ოდენ მზისა ტიალსა,  
ღ გამშორებოდეს, წამსელოდეს, ამისთვის დაეწვი აღსა.“
8. ესე მესმა ფრიდონისგან, მომემატა ცეცხლთა სიცხე,  
ცხენისაგან გარდავიქერ, თავი სრულად გავიკიცხე,  
ჩემთა ლწვთა დანადენი, მე ჩემივე სისხლი ვიცხე.  
ღ— მომკალო, თუცა უჩემოსა ენახამცა ვისცა ის-ც-ხე!—
9. ესე ჩემგან გაუკვირდა ფრიდონს, მეტად ეუცხოვა.  
მაგრა მეტად შეეებრალე, ტირილითა მესათნოვა;  
ვითა შეილი დამადუმა, მემუღარა, შემეპოვა,  
ღ თვალთათ, ვითა მარგალიტი, ცხელნი ცრემლნი გარდ-  
მოჰთოვა.
10. „ვა-გლახ მეო, რა გაამბე, ფათერაკად მცდარმან შმაგად!“  
მოვაკსენე: „ნურა გავგვა, ნუ ინაღელი მაგას მაგად,  
იგი მთვარე ჩემი იყო, მით მეღდების ცეცხლი მდაგად;  
ღ აწ გაამბობ, რადგან თავი გინდა ჩემად ამხანაგად.“
11. ფრიდონს უთხარ ყველაკაი ჩემი, თავსა გარდასრული;

მან მითხრა თუ: „რას ვიტყვოდი მოკტომილი, გაბასრული!  
შენ მაღალი ინდოთ მეფე ჩემსა რადმე ხარ მოსრული,  
ღ საკელ-მწიფო საჯდომი და ტახტი გმართებს, სრაცა  
სრული.“

12. კვლაცა მითხრა: „ვისცა ღმერთი საროს მორჩსა ტანად  
უხებს,  
მას ლახეარსა მოაშორებს, თუცა პირველ გულსა უხებს,  
იგი მოგვეცემს წყალობასა მისსა, ზეცით მოგვიქუხებს,  
ღ ქირსა ლხინად შეგვიცვალებს, არათ ოდეს შეგვაწუხებს.“
13. წამოვედით ნატირებნი, სრას დავსხედით თავის წინა;  
ფრიღონს უთხარ: „ჩემი შემწე შენგან კიდე არავინა;  
ვითა ღმერთმან შენი მსგავსი სოფლად არა მოაველინა,  
ღ მაშა რადგან შეგემეცენ, ამის მეტი რად რა მინა!
14. არ ავი მესვა მოყუარე, ეამი თუ მომხვდეს ეამისად,  
ენა, გონება მაკმარე გამოსარჩევლად ამისად:  
რა მოვაგვარო, რა მიჯობს სალხენლად ჩემად და მისად?  
ღ თუ ვერას ვარგებ, ვიქმნები ვერ დამყოფელი წამისად.“
15. მან მითხრა: „ბედი ღმრთისაგან მიჯობს-და ამას რომელი:  
მოსრულ-ხარ ჩემად წყალობად მეფე ინდოეთს მჯდომელი?!  
მემცა რად ვიყავ ამისთვის მადლისა რასმე მდომელი?  
ღ ერთი ვარ მონა მონებად წინაშე თქვენსა მდგომელი.
16. ესე ქალაქი გზა არის ნავთა ყოველგნით მავალთა,  
შემომკრეფელი ამბავთა უცხოთა რათმე მრავალთა;  
აქა მოგვესმის წამალი, შენ რომე დაუწვავ ალთა;  
ღ ნუთუ ჰქმნას ღმერთმან გარდაკდა მავა ქირთა და  
დავალთა.
17. ჩვენ გავგზავნოთ მენავენი, რომელთაცა კვლა უვლია,  
მოგვინახონ იგი მთვარე, ვისთვის ქირი არ გვაკლია;  
მუნამდისცა მოიქირვე, გონებამან არ დავლია.  
ღ ყოლა ქირი არ ეგების, თუცა ლხინმან არ დასძლია.
18. კაცნი იკმნა მასვე წამსა, — „ესე საქმე დამიურვეთ;“  
უბრძანა თუ: „ნავებითა წადით, ზღვა-ზღვა მოიკურვეთ,  
მოგვინახეთ, საყვარელსა მისსა მისთვის მოასურვეთ,  
ღ თავთა ქირი უათასეთ, რადმც უშვიდეთ, რადმცა ურვეთ.“

18<sup>1</sup> აჩინა კანია, სადაცა სდგურნი ნავთა სჩენოდეს;  
უბრძანა: „სძებნეთ ყოველგან, რაცა ვის მისი გსმენოდეს.“  
მოლოდნა მიჩნდა საღსინოდ, ჰატყუნა მოკემლხენოდეს,  
და უმისად ღხინა მიხახვს, ამა დღისათვის მრცხვენოდეს

19. ფრიდონ საჯდომნი დამიდგნა ადგილსა საბატონოსა, მითხრა თუ: „მცდარ-ვარ აქამდის, ვერ მიხვდვი გასაგონოსა: ხარ დიდი მეფე ინდოთა, რა ვით ვინ მოგაწონოსა! ჭ ვინ არის კაცი, რომელმან თავი არ დაგამონოსა!“
20. რას ვაგრძელებდე, მოვიდეს ყოველგნით ამბისა მძებნელნი, ცუდნი და ცუდთა ადგილთა თავისა დამაშრობელნი; ვერა ვერ ეცნა, ვერ იყვნეს ვერას ამბისა მცნობელნი: ჭ მე უფრო მდინდეს თვალთაგან კვლა ცრემლნი შეუ-  
შრობელნი.
21. მე ფრიდონს უთხარ: „ესე დღე ვითა შესაზაროების, ამისად მოწმად ღმერთი მყავს, სათქმელად მეუცხოების; უშენოდ მყოფსა ლამე და დღეცა შესალამოების, ჭ დაქსნილ-ვარ ლხინსა ყოველსა, მით გული ჰირსა მოების.“
22. მაშა მე მისსა ამბავსა რადგან აღარას მოველი, ველარ ვიქმნები, გამიშვი, ვარ ფარმანისა მთხოველი!“ ფრიდონს რა ესმა, ატირდა, სისხლითა მოერწყო ველი; ჭ მითხრა თუ: „ძმაო, დღესითგან ცუდ ჩემი ლხინი  
ყოველი!“
23. თუცა ღია მოიქირვეს, ვერცა ეგრე დამიქირეს; მისთა სპათა მუკლ-მოყრითა თავი მათი ჩემ-კერძ ირეს, მეხვეოდეს, მაკოცებდეს, ატირდეს და ამატირეს: ჭ „ნუ წახვალო, დაგაწამოთ, სიცოცხლეა ჩვენი ვირეს!“
24. ეგრე უთხარ: „თქვენი გაყრა მეცა ღია მეძნელების, მაგრა ლხინი უმისოსა ჩემგან ძნელად გაიძლების; ჩემსა ტყვესა ვერ გავსწირავ, თქვენცა ღია გებრალების, ჭ ნუვინ მიშლით, არ დავდგები, არცა ვისგან დამეშლების.“
25. მერმე ფრიდონ მოიყვანა, მიძღვნა ესე ჩემი ცხენი; მითხრა: „ჰხედავ, პირი მზისა, თქვენ, საროსა ეგეც ხენი, ვიცი, მეტი არა გინდა, ძღვენი რამცა გავკიცხენი, ჭ თვით ამანვე მოგაწონოს საკედნობა, სიფიცხენი.“
26. ფრიდონ გამომყვა, წავედით, ორთავე ცრემლნი ვღვარენით; მუნ ერთმან-ერთსა ვაკოცეთ, ზახილით გავიყარენით. სრულად ლაშქარნი მტიროდეს გულითა მართლად, არ ენით. ჭ გაზრდილ-გამზრდელთა გაყრასა ჩვენ თავნი დავადარენით.
27. ფრიდონისით წამოსრულმან წავე ძებნად, კვლა ვიარე, რომე არა არ დამირჩა კმელთა ზედა, ზღვათა გარე, მაგრა მისსა მნახავსაცა კაცსა ვერა შევეყარე, ჭ გული სრულად გამიშმაგდა, თავი მეცთა დავადარე.

28. ვთქვი თუ: „ჩემგან აღარაა სიარული, ცუდი ცურვა, ნუთუ მკეცთა სიახლემან უკუ-მყაროს გულსა ურვა!“  
მონათა და ამ ასმათსა სიტყვა უთხარ შვიდი თუ რვა:  
ღ „ვიცი, რომე დამირჯი-ხართ, დია გმართებს ჩემი მღურვა!“
29. აწ წადით და მე დამაგდეთ, ეტერენით თავთა თქვენთა,  
ნულარ უქვერეტთ ცრემლთა ცხელთა, თვალთა ჩემთა  
მონადენტა.“

რა ესენი მოისმენდეს საუბართა ესოდენტა,  
ღ მითხრეს: „ჰაი“, რასა ბრძანებ, ნუ მოასმენ ყურთა ჩვენთა!

30. უშენოსა ნუმცა ვნახავთ, ნუ პატრონსა, ნუ უფალსა;  
ნუ თუ ღმერთმან არ გაგვყარნეს ცხენტა თქვენთა  
ნატერფალსა!

თქვენ გიქვერეტდეთ საქვერეტელსა შვენიერსა, სატურფალსა!“  
ღ თურმე ბედი მოალაფლებს კაცსა ეგზომ არ ღაფალსა.

31. ველარ გაგზავნენ, სიტყვანი მესმნეს მონათა ჩემთანი.  
მაგრა დავყარენ არენი მე კაცრიელთა თემთანი;  
სახლად სამყოფნი მიმაჩნდეს თხათა და მათ ირემთანი;  
ღ გავიქვერ, სრულად დავტკეპნე ქვე-მინდორი და ზე-მთანი.
32. ესე ქვაბნი უკაცურნი, ვპოვე, დევთა შეეკაფნეს;  
შემოვები, ამოვსწყვიტენ, ყოლა ვერას ვერ შეკაფნეს,  
მათ მონანი დამიკოცნეს, ჯაჭვნი ავად მოეკაფნეს;  
ღ საწუთრომან დამადრიჯნა, ცქაფნი მისნი კვლა მეცქაფნეს.
33. აჰა, ძმაო, მაშინდლიდგან აქა ვარ და აქა ვკვდები;  
ხელი მინდორს. გავიქრები, ზოგჯერ ვტირ და ზოგჯერ  
გბნდები.

ესე ქალი არ დამაგდებს, არს მისთვისე ცეცხლ-ნადები.  
ღ ჩემად ღონედ სიკვდილისა მეტსა არას არ ვეცდები!

34. რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს,  
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს;  
ესე ქალი შემიკერავს, ზოგჯერ სულ-თქვამს, ზოგჯერ ახავს.  
ღ რადგან თავი ვერ მომიკლავს, კრმალი ცუდად მომიმახავს.
35. პირსა იცა, გაიხეთქა ღაწვი, ვარდი აახეწა,  
ლალი ქარვად გარდიქცია, ბროლი სრულად დაილეწა;  
ავთანდლისცა ცრემლი წასდის წამწამთაგან ერთ-სახე-წა;

- 
- 34<sup>1</sup> მისსა ვერ იტყვის ქებასა უოფედი ბრძენტა ენება!  
მას დაკარგულსა ვიგონებ მე, სიცოცხლისა მთმენება;  
მას აქათ ვახლავ ნადირთა, თავსა მათებრე მესეჩება;  
და სხვას არას ვიჯ ღეთისაგან, ვარ სიკვდილისა მქენება.

36. ლ მერმე ქალმან დაადუმა, მუკლ-მოყრილი შეეხეწა.  
ტარიელ უთხრა ავთანდილს, ასმათის დადუმებულმან:  
„შენ ყველაკაი გაამე, მე ვერას ვერ ამებულმან:  
გიაშბე ჩემი ამბავი სიკოცხლე-გაარამებულმან;  
ლ აწ წადი, ჰნახე შენი მზე, ნახვისა მოცამებულმან!“
37. ავთანდილ უთხრა: „მე შენი გაყრა არ მომეთმინების;  
თუ გაგეყრები, თვალთავან ცრემლიცა დამედინების.  
მართალსა გითხრობ, ამისი კადრება ნუ გეწყინების:  
ლ შენ ვისთვის ჰკვდები, მაგითა მას არა არ ელხინების.“
38. რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,  
მან სხვა იკმოს მკურნალი და მაჯისაცა შემტყობარი;  
მან უამბოს, რაცა სკირდეს სენი, ცეცხლთა მომდებარი.  
ლ სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.
39. რაცა გითხარ, მომისმინე, ზრძენი გეტყვი, არა ხელი:  
ასი გმართებს გაგონება, არ გეყოფის, არ, ერთ-კელი  
კარვად ვერას ვერ მოაფლენს კაცი აგრე გულ-ფიცხელი.  
ლ აწ მე მინდა ნახვა მისი, ვისგან დამწეავს ცეცხლი ცხელი.
40. იგი ვნახო, სიყვარული მისი ჩემთვის დავამტკიცო:  
მოვაესენო, რაცა მეცნას, მეტი საქმე არა მიცო;  
შენ გენუკვი, შემიჯერო, ღმერთი იღმროთ, ცაცა იცო:  
ლ ერთმან-ერთი არ გავსწიროთ, მათიცო და შემომთიცო!
41. რომე აქათ არ წახვიდე, შენ თუ ამას შემიპირო,  
მეცა ფიცით შეგიჯერებ, არასათვის არ გაგწირო,  
კვლა მოვიდე შენად ნახვად, შენთვის მოვკვდე, შენთვის  
ვირო,  
ლ ღმერთსა უნდეს, ვისთვის ჰკვდები, მისთვის აგრე არ  
გატირო!
42. მან მიუგო: „უცხოს უცხო ეგრე ვითა შეგიყვარდი?  
გასაყრელად გეძნელები, იადონსა ვითა ვარდი;  
რაგვარადმცა დაგივიწყე, რაგვარადმცა უკუ-შქარდი!  
ლ ღმერთმან ჰქმნას ლ კვლაცა ვნახო აღვა მორჩი, განაზარდი.“
43. პირი შენი ნახვად ჩემად თუ მობრუნდეს, ტანი იხოს,  
გული მინდორს არ გაიქრას, არ ირმოს და არცა ითხოს,  
თუ გიტყუეო, მოგალორო, ღმერთმან რისხვით გამიკითხოს,  
ლ შენმან ჰკრეტა-სიახლემან მომაქარვოს სევედა, მითხოს!
44. ამას ზედან შეიფიცნეს მოყვარენი გულ-სადაგნი,  
იაგუნდნი ქარვის ფერნი, სიტყვა-ბრძენნი, ცნობა-შმაგნი;  
შეუყვარდა ერთმან-ერთი, სწვიდეს მიწყივ გულსა დაგნი.  
ლ მას ლამესა ერთგან იყენეს შენიიერნი ამხანაგნი.

45. ავთანდილიცა მასვე თანა ტიროდა და სრემლი ჰლვარა;  
 რა გათენდა, წამოვიდა, აკოცა და გაეყარა;  
 ტარიელს თუ ვით ეწყინა, — რა ჰქმნას, ამას ვერ მიძხვდარა;  
 ღ ავთანდილიცა ჩასტიროდა, შამბი შივან ჩაიარა.

## თ ბ ვ ი ლ.

წასვლა ავთანდილისა ჟრიდონისას, მულღაზარსა  
 რომ შეეყარა.

1. ვა, სოფელო, რას შივან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გქირსა?!  
 ყოელი შენი მონდობილი ნიადამცა ჩემებრ ტირსა!  
 სად წაიყუან სადაურსა, სად აღუფხვრი, სადით, ძირსა,  
 ღ მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენვან განაწირსა!

45 ავთანდილს ასმათ ჩამოჰყუა, ზენართ ეუბნებოდა,  
 მუკლთა: უურიდა, ტიროდა, თითითა ეხვეწებოდა,  
 ადრე მოსვლასა ჰქედრებდა, მართ ვითა ია ჰქნებოდა.  
 და მან უთხრა: „დაო, უთქვენოდ სხვა რამცა შეგონებოდა!

45<sup>2</sup> ადრე მოვალ, არ გაგწირავ, არას დაგზამ შინა ხანსა,  
 ოდენ სხვაგან არ წაგიდეს, ნუ-სად არებს იმა ტანსა;  
 აქათ ორ-თვე არ მოვიდე, ვიქმ საქმესა დაუგვანსა,  
 და შეიგენით, მიცემულ-ყარ ჰქირსა რასმე თახის-თანსა.“

1<sup>1</sup> ავთანდილ მისი გაურილი ტირს, კმა მისწვთების ცათამდის;  
 იტყვის თუ: „ღვარი სისხლისა ყვლაცა მდენია კვლაცა მდის;  
 აწ აგრე გაურა ძნელია, ვით მაშინ შეურა ცათამდის, —  
 და კაცი არ უგელა სწორა, დიდი ძეს კაცით კაცამდის.“

1<sup>2</sup> ეელს მაშინ მკეცი ძღვობდეს ცრემლითა მუნ ნატართა;  
 ვერ დაივსებდა საკმილსა, იწვის ცეცხლითა კშირითა;  
 კვლა თინათინის გონება ავსებს უფრორე ჰქირითა,  
 და ბატეთათ ვარდსა ანათობს ბროლი ძოწისა ძირითა!

1<sup>3</sup> ვარდი ჰქნებოდა, ღრებოდა, აფვისა შტო ირხეოდა;  
 ბროლი და ღაღი კათლიდი ღაჟვარდად გარდიქეოდა;  
 გამაგრებოდა სიყვდილსა, ამისთვის არ უშეგნოდა-;  
 და იტყვის თუ: „ბნელი რას მიკვირს, რადგან დამაგდე, მზეო, და!“

1<sup>4</sup> მზესა ეტყვის: „მზეო, გიტყვი თინათინის დაწყითა დარად,  
 შენ მას ჰგაჟ და იგი შენ გტავს, თქვენ ანათებთ მთად და ბარად;  
 ხელსა მადხეის ნახუა შენი, ამაღ გიჭყრეტ არ დამცდარად,  
 და მაგრა ჩემი რად დააგდეთ გული ციფად, გაუმთბარად?!

2. მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:  
„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,  
ვინ მდაბალსა გაამალღებ, მეფობასა მისცემ სვესა,  
ღ მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ ღღესა!“
3. მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჰირი ჰირსა,  
გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც კშირსა,  
შემომყარე კაეშანი, ტვირთი მძიმე ვითა ვირსა;  
ღ მას უთხარ თუ: „ნუ გასწირავ, შენია და შენთვის ტირსა.“
4. ჰე, მუშთარო, გეაჯები შენ, მართალსა, ბრქესა სრულსა,  
მო და უყავ სამართალი,—გაებრქობის გული გულსა—  
ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა:  
ღ მართალი ვარ, გამიკითხე, რად მაწყულღებ მისთვის  
წყულღსა!
5. მოდი, მარხრო, უწყალოდ დამქერ ლახვრითა შენითა,  
შეცამღებე და შემსვარე წითლად სისხლისა დენითა,  
მას უთხრენ ჩემნი პატიენი, მას გააგონენ ენითა;  
ღ რაგვარ გასრულ-ვარ, შენ იცი, გულია აღარ ლხენითა!
6. მოდი, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწვა ცეცხლთა დაგითა,  
ვინ მარგალიტსა გარეშე მოსცავს ძოწისა ბაგითა;  
შენ დააშეენებ კეკლუტთა დაშეენებითა ბაგითა,  
ღ ვისმე ჩემებრსა დააგღებ, გაჰვდი ცნობითა შმაგითა.
7. ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა,  
მზე მაბრუნვებს, არ გამიშეებს, შემოყრის და მიმცემს წვასა;  
დაჯე წერად ჰირთა ჩემთა, მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა,  
ღ კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა წვრილსა, ვითა თმასა!
8. მო, მთვარეო, შემიბრალე, ვილვევი და შენებრ ვმკლდები,  
მზე გამავსებს, მზევე გამღვეს, ზოგჯერ ვსხვდები, ზოგჯერ  
ვეწვლდები;  
მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა მქირს, ანუ რაგვარ ვბნდები;  
ღ მიდი, უთხარ: „ნუ გასწირავ!“ მისი ვარ ღ მისთვის ვკვდები.

- 
- 1<sup>5</sup> თთვე ერთისა მოშორება მზისა ზამთრის გაგვადივნებს;  
მე გლახ ორნი დამიერან, გული ამაღ რად არ იგნებს?  
მაგრა კლდესა არა შესწონს, არა-ოდეს არ ატკივნებს.  
და წვდულსა დანა გერა ჰქურნებს, გაჰკვეთს ანუ გაასიენის.“
  - 8<sup>1</sup> აჰა, მოწმობენ ვარსკვლავნი, შეიღნივე შემოწმებან:  
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუაღ ჩემთვის ბნდებან,  
მთვარე, ასპიროზ, მარხისი შოგლენ და მოწმად მუგებან;  
და შას გააგონე, რანიცა ცეცხლნი უშენოდ მდებან!“



9. აწ გულსა ეტყვის: „ვითამცა გდის ცრემლი, არ გაგკობია, რას გარგებს მოკვლა თავისა, ეშმა ძმად თურე გძმობია; მეც ვიცი, ჩემსა ხელ-მქმნელსა თმად ყორნის ბოლო სთმობია, ღ მაგრა თუ ქირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია!
10. თუ დავრჩეო, ესე მიჯობს;--სიცოცხლესა ეტყვის თუსა — ნუთუ მომხედეს ნახვა მზისა, ნუ ვიზახი მიწყვიე უ-სა.“ მიიმღერის კმასა ტკბილსა, არ გასწყვეტდის ცრემლთა რუსა; ღ მისსა კმასა თანა კმაცა ბუღბუღლისა ჰგვანდის ბუსა.
11. რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მკეცი მოვიდიან, მისვე კმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან; ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან; ღ იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან!

11<sup>1</sup> მოვიდიან შესამკობლად ქვეუნით უფლნი სულეურნი: ტუთ ნადირნი, წუაღმიგ თეგზნი, ზღვით ნიანგნი, ცით მფრან-  
 ინდო-არაბ-საბერძნეთით მაშრეთით და მადრბეღნი, [ვეღნი,  
 და რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგეპტეღნი.

## მ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი.

ჩვენ მიერ ტექსტის შესწორება აგებულია პრინციპზე, რომელიც გამომდინარეობს ვარიანტების შედარებითი შესწავლითგან.

ხელ-ნაწერების შესწავლამ და ვარიანტების შედარებამ ჩვენთვის ცხად-ჰყო შემდეგი:

ფაქიზად შესრულებული ხელ-ნაწერები, რომლებიც მეტის სისწორით და უცვლელად იცავენ ძეგლის ძირითადი ტექსტის ძველ სახეს და ენის ძველ ფორმებს, ამავე დროს ძალიან ცუდად ჰკითხულობენ იმ ადგილებს, რომლების გაგება, ზოგიერთი რეალიების გამოურკვეველად, შეუძლებელია.

ეს მოვლენა, ჩვენის აზრით, აიხსნება იმით, რომ კალიგრაფებად და გადამწერლებად იყვენ მეფეების კარზე საგანგებოდ დანიშნული პირები, უმეტეს ნაწილად მეფის სწავლული მდივნები, რომლებსაც მინდობილი ჰქონდა მეფეთაგან ყველა ვრცელი რედაქციის უცვლელად და უმეტ-ნაკლებოდ გადაწერა და ამ გადაწერასთან ერთად მათვე ევალეობოდა, როგორც სწავლულებს, საუკუნოებით წარყვნილი ადგილების შესწორება, მაგრამ რადგან მათ შესაფერი მომზადება და საკი-

რო სპეციალური ცოდნა არა ჰქონდა, პოემის ტექსტის შესწავლისთვის, — რაიმე სამეცნიერო სკოლის უქონლობის გამო, — ხშირად, სიძველის გამო, გაუგებარი ადგილი ამ გვარ გადაშწერლებს წარყენილი ეგონათ და ამიტომ სცვლიდენ და ასხვაფერებდენ მას ისე, როგორც მათ საჭიროდ მიაჩნდათ.

კერძოდ მომუშავე პირები კი, — რომლებიც პირადი საპირაობისთვის იწერდენ მათგან პოეზილ რედაქციებს, ანუ უკეთ, შემთხვევით წააწყდებოდენ პოემის ძველ ხელ-ნაწერებს და დაინტერესებულნი მათი სიძველით, გადასწერდენ მათ, — პირიქით, გადაწერის დროს, თავის გემოზე ასხვაფერებდენ დედნის ენას, ანუ უკეთ, აახლებდენ ხელ-ნაწერის ენას, რომ უფრო გასაგები გაეხადათ მკითხველთათვის. ძნელი და თავსატეხი ადგილებისთვის კი ნაკლებ იწუხებდენ თავს, და აგრეთვე ცოდნაც ნებას არ აძლევდა მათ შეესწორებინათ ეს ძნელი ადგილები.

ამ ნაირად შესაძლებელი ხდება, ხელ-ნაწერების დასახელებულის განსხვავების მიხედვით, გვეყოს მათი გადაშწერლები და რედაქტორები ორ კათეგორიად:

პირველ კათეგორიას ეკუთნიან ოფიციალურად მსახურნი — კარის მდივნები — და ცნობილი კალიგრაფები, რომელთაც დავლებული ჰქონდათ ფაქიზად და უცვლელად ხელნაწერის გადაწერა, ხოლო მეორეს — არა ოფიციალურად მსახურნი და შემთხვევითი გადაშწერლები, რომლებიც სრულიად თავისუფალი იქნებოდენ თავიანთ მოქმედებაში და, მაშასადამე, იმ მიზნით, რომ უფრო ადვილ-გასაგები გაეხადათ, თავის გემოზე სცვლიდენ და აახლებდენ ხელ-ნაწერის ენას, მაგრამ რადგან ამ უკანასკნელთა საქმე პოეტობა არა ყოფილა და არც ამისთვის შესაფერი ცოდნა და მომზადება ჰქონდათ, ამიტომ მათ უცვლელად დაუტოვებიათ ძნელი წასაკითხავი ადგილები, რითაც აიხსნება ის გარემოება, რომ ენის მხრით სრულიად განახლებული და, მაშასადამე, დამახინჯებული ხელ-ნაწერები, როგორიცაა 4499 და 461 №№-ები, რომლებიც, საგანგებოდ შესრულებულ ვრცელ რედაქციებთან შედარებით, წარმოადგენენ თავის სხვა და სხვა ნაწილში ძველის-ძველის რედაქციის სახეს, თავისუფალს ჩანართებისაგან, მეტის სისწორით იცავენ ძველის ძნელ ადგილებსაც.

ამიტომაც, ჩვენის აზრით, ვახტანგის გამოცემულისა და 757 და 54 №№-ების და სხვა ფაქიზად შესრულებულის ხელ-ნაწერების გადაშწერლები ძველის-ძველის ენისა და ფორმების

საუკეთესო დამცველები არიან, მაგრამ ამავე დროს, რადგან ეს მათ დაეალებული ჰქონდა, ისინი ასწორებენ და, მაშასადამე, რყენიან იმ ძნელ წასაკითხავ ადგილებს, რომლების გასწორება არ შეეძლოთ მეორე კათეგორიის შემთხვევითს გადამწერლებს, რომლებსაც შეუცვლიათ და განუახლებიათ მხოლოდ საერთოდ პოემის ენა და მასთან ერთად ყველა ის ადგილი, რომლების გაგება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ამასთან აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პირველის კათეგორიის გადამწერლებშიაც განირჩევიან ისეთები, რომლებიც სხვებზე უფრო ფაქიზად იწერენ და უცვლელად იცავენ ხელნაწერის ძველ სახეს, მაგ., ხშირად მოხდებოდა, რომ რომელიმე პოეტი და ფრიად განსწავლული პიროვნება, რომელსაც შეეძლო ჩანართების შეთხზვაც, უფრო მეტ ნებას აძლევდა თავის თავს, შეესწორებინა და კიდევ შეეცო ეს თუ ის ადგილი, ასე, მაგალითად, ვახტანგის რედაქციის შემსრულებელი, ან პოეტი ბეგთაბეგ, და მეფის მდივანი მამუკა, რომელსაც გადმოუწერია 1646 წელს 599 №-ი ხელნაწერი, უფრო ხშირად და მეტს ასწორებენ, ვიდრე 757 №-ი ხელნაწერის გადამწერელი, სომეხი, აღმურაანთ ბაღდასარას შვილი მუშრიბი გასპარა, რომელიც, როგორც ხელნაწერის ხასიათი მოწმობს, ფრიად დახელოვნებული კალიგრაფი ყოფილა.

ყველა ამის და მიხედვით, თუ ჩვენ ძეგლის ძირითად ტექსტს საფუძვლად დავუდებთ ფაქიზად შესრულებულს ხელნაწერებში დაცული რედაქციის ენას და ძნელი ადგილების წასაკითხავად მივახმართ შემთხვევითისა და, მაშასადამე, უპრეტენზიო გადამწერლების ხელით შესრულებული ხელნაწერების ვარიანტებს, ჩვენ მივალწევთ ტექსტის ენის მხრით სასურველ აღდგენასა.

---

შენიშვნა: აქ წარმოდგენილ ვარიანტების ხანები და ტაყები ნაჩვენებია 22-ე გამოცემის მიხედვით.

---

## პ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი.

III, 3 და 4: ვახტ. გამოცემის მიხედვით ყველა დასტამბული გამოცემა ამ სახით იცავდა ამ ადგილს:

„მასა არა ვიცი შევკადრო შესხმა ხოტბისა ხშირისა, და მისთა მქურეტელთა ყანდისა მირთმა კამს მართ შშიერისა“.

1117— შევმართო შესხმა ხოტბისა შერისა..... 4)... შშიერისა. 2829 და 599 №№-ში არ არის (599 №-ის შესახებ იხ. წინასიტყვაობა, ხელ-ნაწერები, გვ. XLVI, VI), აკლია აგრეთვე 4499 № ხელ-ნაწერსაც, რომელსაც აგრეთვე თავი აკლია, *ibid*, XLV, V.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 757 №-რი: „მას არა ვიცი შევკადრო შესხმა ხოტბოსა შერისა“ და ვისთა მქურეტელთა ყანისა მირთმა კამს მართ შიშერისა“, ამ ადგილს ასევე გადმოგვცემს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 54 № იც, იმ განსხვავებით, რომ „შიშერისა“-ს ნაცვლად კითხულობს, „შშიერისა“-ს, ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საგანძურის ვრცელი ხელ-ნაწერი ემბრობა 757 და 54 №№ ხელ-ნაწერებს, ამისდა მიხედვით ჩვენ შევასწორეთ და შევსცვალეთ დღემდე მიღებული ტექსტი; (მოკლე არტანუჯულის რედაქციის გადამწერი პ. ლარაძე ასხვაფერებს ტექსტს) „ყანისა“ უნდა იყოს წარყვნილი ყანდისა \*)

VII, 3: 757—დავუძღვურდი მიჯნურთათუის კულავ...  
იქვე 4: 757 და 2829 №№—ანუ მოგუცეს განკურნება, დანარჩენები და, მათ შორის, ვახტანგის გამოცემაც: „ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი, 599 და 4499 №№-ებში არ არის (რადგან თავი აკლია).

IX, 3: ყველა ხელ-ნაწერი გარდავთქუი, 2829-გამოვთქუი.  
იქვე 4: 757—და ჩემან ხელქმნელმან დაემართო... ყველა ხელ-ნაწერი—ჩემმან ხელ-ქმნელმან, 2829-მისმან ხელ-ქმნელმან.

\*) შესაძლებელია ისიც, რომ ამ ადგილის შემცვლელ რედაქტორს სდომებოდადეს თქმა: ვისთა მქურეტელთა ყანისა მირთმა კამს, მართ გიშერისა (ე. ი. გიშერა ხარისთვისაო), და მაშასადამე „შიშერისა“ იყოს წარყვნილი „გიშერისა“ ან და ყოფილიყოს:... ყანისა... შისერისა (მისიროვგვიპტე): მისიროს ყანდი—ე. ი. ორჯელ გაწმენდილი (საუკეთესო) შაქარი.

- XI, 1: ყველა ხელ-ნაწერი—ენატრამცა, 2829—ენატროსცა.
- XI, 1: 757, 2819, 54 №№-ები-რაცა ვისცა, დანარჩენები და მათ შორის ვახტ. რედ.-რაცა ვისრა...
- იქვე 4: ყველა ხელ-ნაწერი-დაიწუნოს, იხ. H. МаррЪ; Т. P. XII, ქარ. ტექსტი: დაეწუნოს.
- XII, 3: ვახტ., 5006 №-ი და 3. ლარაძე (იხ. 4732 №-ი)—მართ აგრეთვე მელექსეთა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა, 757, 54, 2829—მართ აგრეთვე მელექსესა საუბართა ტკბილთა ფრქუევა; 1117—საუბართა ტკბილად ფრქუევა.
- XV, 1: 757 და 54 №№-ები-თუ ვინმე თქუას ერთი, ორი, 3. ლარაძე, ვახტ.—თუ სადმე თქუას..., 2829 №-ში წახეულია.
- XIX, 4: ვახტ. და 5006 №№-ები-მისი სახელი შეფრქუევით, 757, 54, 1117 და 2829—მისი სახელი შეფარვით ქუე-მორე მითქუამს..., 2829-ქვემორვე.
- XX, 757 და 54 №№-ები—ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა, 596 და 2829 №-ი-თმობაცა (?) ქონდა მრავალთა წყენათა, ვახტ., 3. ლარაძე და 5006-ვინცა ეცდების თმობათა, ქონდეს მრავალთა წყენათა (?!).
- XXI, 2: ყველა ხელ-ნაწერი-ყურნიცა, 2829 №-ი-ყურნიცა.
- იქვე, 3: 2829-ვთქუნე ხელობანი თქუნენანი (?), 757-ვთქუნე ხელობანი ქუნენანი....
- XXII, 1: 757 და 54-არაბულითა ენითა, სხვები-არაბულისა ენითა.
- XXII, 2: ყველა ხელ-ნაწერი-ვერ მიხუდომისა, ვახტ. და 2829-ვერ მიკდომისა (?!).
- იქვე 4: 599—კეკლუცთა წალმა ფრენითა, 757 და 2829-კეკლუცთა ზედა. ფრფენითა.
- XXIII, 2: 599—სიბრძნე, სიმდაბლე, სიუხვე, დანარჩენები—სიბრძნე, სიუხუე, სიმდიდრე...
- XXVI, 1: 599 და 757—ამა საქმესა მიჯნური ნუ უკმობს მიჯნურობასა, ვახტ. და 2829-... მიჯნურნი ნუ უკმობთ...
- XXVII, 2: 599, 757 და 54—... ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა, ვახტ. და 2829 ნიადაგმცა ჰქონდეს (?) ხალვა.
- იქვე 4: 599, 757 და 2829 და სხვ.-და დასთმოს წყრომა მოყურისაგან (ან მოყუარისგან), მისი ჰქონდეს შიში,

კრძალვა, ვახტ., 3. ლარაძე და 5006-დასთმოს წყრომა მეფეთაგან, მისი...

XXIX, 1: 599—მას უმოყურო ვით მიენდოს, ვინ მოყუარე გაამელავენოს, ვახტ. და სხვები—მას უშმაგო....

იქვე 2: 757—ამის მეტი რამცა ირგო, მას აენოს და თუითცა იენოს, სხვები-ამის მეტი რა<sup>2</sup>ცა ირგოს (?)..

იქვე 3: 757—რათაძელა ასახელა, 2829, 4499, 54, 599 და ვახტ.-რათამცალა ასახელოს (?)..

XXXI, 3: 757 და 54—იგონებდეს მისგან კიდე ნურად ოდეს მოეცლების, სხვები—... ნურაოდეს მოეცლების.

2, 4: 757 და ვახტ.—ბრძენი კამს მისად მაქებრად, 599, და 2829—... საქებრად...

3, 4: 599, ვახტ. და 3. ლარაძე—დაუწყო მათ ამო საუბარია, 2829 და 757—საუბნარია

5, 1: ვახტ., გარდასრულვარ, 599-გარდაესულვარ, 757, 2829 და 461—გარდასულვარ.

იქვე 4: 599, 757, 2829, 54—ჩემი მზე დავსუათ ეელ-მწიფედ, ვახტ. და 461—ჩემი ძე დავსუათ...

6, 2: 599 და 2829 — „ვარდი თუ გაკმეს, ეგრეცა გუმართებს მისივე ჯერობა“, 54 და 757—აზომცა ჯერობა, ვახტ.—რაზომცა ჯერობა.

7, 8: 599, 4499 და 54—კამს განალამცა საქნელად, 757 და 2829—კმდა გალანამცა საქნელად, ვახტ., 3. ლარაძე და 4499—კმდა განალამცა სათქმელად...

9, 2: 599—საროსა მგზავსი ნაზარდი, მჯობი მზისა და მთუარისა, 757—საროსა მჯობი ნაზარდი, მგზავსი...

11, 2: 599 და 2829—ავთანდილს მიხულდა (599-ე-ნით) სიამე, ესება სკირს მისვე აღისა, 757, 54, 4499 და ვახტ.—მე სოქალისა.

იქვე 4: 599—მე ჩემი ფერ-გამქრალისა, ვახტ., 757 და 2829 — ფერ-გამქრალისა.

13, 1: ვახტ.—ჯარი გამრავლდეს (?) ხასისა, 599 ჯარნი გამრავლდეს ხასისა, 2829 და 4499—ჯარი გამრავლდა 757—ჯარი განმრავლდა....

14: 2: 757, 599 და 2829 დასდგა თავისა კელითა, ვახტ.—დაადგა თავის კელითა.

იქვე 4: ასეა ვახტანგისეულსა და 5006 .ჰ-ში, 757, 54 და

2829 და ქალი მზეებრ სქურეტს ყოველთა ცნობითა ბრძნად მხედველითა, 599—ქალი ბრძნად უკვრეტს ყოველთა ცნობითა მზეებრ მხედველითა.

- 15, 1: ვახტ., 3. ლარაძე, 5006—მეფეთა და მისთა სპათა, 757, 599, 2829, 54 და 461 და სხვ.—მეფემან და მისთა სპათა.
- 17, ვახტ., 757, 2829 და 757 — ჩემგან კელ-მწიფედ კობილი. იქვე 3: აქათგან ესე სანმეფო შენი არს მართ მონდობილი.
- 21, 4: 599 და 2829 — გასცა ურიცხუი, უანგარიშო, ულევო.
- 22, 4: ვახტ., 757 და 2829—ჩემსა ნუ ვინ ნუ დამალავთ.
- 23, 2: 599—ამილახორნო, მოასხით, 2829 და ვახტ.—ამილახორო, მოასხი.
- 29, 3: ვახტ. და 2829—ანუცა მგუანდეს მშუილდოსნად (?); 757—ანუმცა მგვანდა... აქვე 2829—... ანუ კულა მებურთობითა, 757—და ანუ კულავ ბურთობითა.
- იქვე 4. 757, 599, 2829 და სხვა — ჩემგანვე ნაზარდობითა, ვახტ., 3. ლარაძე და 5006—ჩემგანვე განაზარდობითა.
- 30, 3: 757, 2829 და ვახტ.—თეთრთა კბილთა.
- 31, 4: 757, 2829 და 54—არ გამკადო კადნიერად, არ ამიკლო ამად ზეო; 3. ლარაძე, ვახტ., 599 და სხვ. არ გამკადო კადნიერი, არ ამიკლო ამაზეო.
- 32, 4: 757 და 54—ნუ მოკუეხ მშეილდოსნობასა თქუმა..., 4498, 2829 და 599—ნუ მაკუეხ...
- 33, 1: ვახტ. და 3. ლარაძე—მიწამცა თქუენი ავთანდილ..., სხვები, მათ შორის 757—მიწაცა...
- იქვე 2: 2829 და 599—ნაძლევი დავდუათ, მოვასხათ..., 757—ნაძლევი დავდუათ, მოვასხნეთ...
- 34, 4: ვახტ.—ვისძი უთხრობდეს ქებასა, 2829—ვის წინ უთხრობდეს, 757 და 4499—ვის მიუთხრობდენ.
- 35, 2: ვახტ. და 3. ლარაძე—კარგა ზმიდეს, 757—იცინობდეს... კარგად ზმიდეს, 2829—კარგათ.
- 36, 1: ვახტ.—კულავ ბრძანეს: „მონა თორმეტი...  
იქვე 2: 461—ისარ-მშეილდისა მამრთმეველად და ჩუენად მამაკმარებლად, 4499 თორმეტი ჩემთა ისართა მიმართმეველად; 2829—თორმეტი ჩემად ისრისა მამრთმეველად...

- იქვე 3: 757 და 2829 — ერთა იშენი შერმადინ... 3. ლარაძე, და ვახტ. — ერთთა შენი შერმადინ; 4: 99 ერთილს შენი შერმადინ, იქვე 4: 4499 — დასთულიდენ. 757 — ... უტყუ-  
რად, მიუშტარებლად.
- 37, 1: 2829 და 4499 — „მინდორნი მოიარენით“ — სწორია, შეად. ჩვენი ნიმუშები, თავი ა, 36, 1.
- 38, 2: ვახტ. — ბროლ-ბალახჩოსანი, 757, 2829 და 4499-შ-ნით.
- იქვე 3: ბროს.-ჩუბ-ქართ.-ასწორებენ პირს ოქროს რიდე (?!).
- 39, 2: ვახტ. და 3. ლარაძე — მგრგლივ; 2829 და 4499 — მგრგულივ.
- 40, 4: ვახტ. და 3. ლარაძე — და დაიწყო მოსვლა ნადირთა ყოველ-  
თა მინდორთა კიდითა; 757 — ნადირმან ყოველთა; 2829 —  
და დაიწყო მოსვლა ნადირმან ყოველთ მინდორთა კი-  
ლითა. 599 - დაიწყო მოსვლა ნადირმან ყოველგნით, მინ-  
დორთა კიდითა 4499 (როგორც ვახტ.) - და დაიწყო  
მოსვლა 'ნადირთა ყოველთა მინდორთა კიდითა.
- 41, 1: 599 — მიუწთომელი, ანგარიშ-მიუცდომელი. 2839 —  
ანგარიშ-მიუხდომელი.
- იქვე 2: 757 — მხლდომელი, 599 და ვახტ. — მხტომელი, 2829 —  
მხლტომელი.
- იქვე 3: ვახტ. და 3. ლარაძე — ქურეტადმცა სჯობდეს (?) რო-  
მელი... 2829 — საქურეტლად სჯობდა რომელი, 757 —  
ქურეტადმცა სჯობდა.
- 42, 2: 599 — მიჰკოდეს და მიესროდეს, 2829, 757, ვახტ.  
და 3. ლარაძე — მიისროდეს.
- იქვე 3: ვახტ., 2829 — რა ისარნი დაელივენის, მონანივე მო-  
ართმიდეს.
- 43, 4: 599 და 757 და ვახტ. — გავს ალვაა, ედემს ისხეს,  
2829 — გავს თუ ალვას ედემის ხეს, 757 — ჰგავსო, ალვა  
ედემს ისხეს.
- 46, 2: ვახტ. — ყოლა ვერ გეტყუით..., 757 და 2829 ვერ  
ვითყუით.
- იქვე 3: ვახტ. — ვერად ვერ მოგვეპარებით, 2829 და 757 —  
ვერათ ვერ მოგვეპარებით.
- 46, 4: 757 მისგან ნაკრაფნი გვინახავს, 2829 — ... ნაკრაფი  
გვინახავს...
- 47, 3: 4499 და 2829 — არ დასცდომია.., 599, 757 და  
54 — არ დასცდომია.



- 49, 3: 757, 54 და 4499 - უმკნესნი სხუათა მკნეთასა.
- იქვე 4: ვახტ. და 3. ლარაძე—პირსა კევთასა, 757, 54, 599; და 54—ტყეთასა, 2829 და 4499—პირსა კლდეთასა.
- 50, 2: 4499—... ყავს ლომსა და ვითა გმირსა, 599—შავი. ცხენი სადღეუთა ჰყუა ლომსა და ვითა გმირსა.
- იქვე 3: 599 და 4499 ლაგამსა და უნაგირსა.
- 51, 2: ვახტ. და 4499—უმსხოსი, 757, 2829; 54 და 599—უმსხოსი.
- იქვე 4: ჩვენ, როგორც ვახტ., შეტომით—ნახვა მოუნდათ, უნდა იყოს ნახვა მოუნდა, როგორც ყველა საუკეთესო ხელ-ნაწერებშია.
- 54, 3: 599—უცხოდ რადმე, 4499—უცხოდ რასმე ამოსკუნიდა, ვახტ., 757. და 2829—უცხოდ რამე ამოსკუნდა.
- იქვე 4: 4499—და ცრემლთა სისხლი ერეოდა, 2829 და 757—და ცრემლსა სისხლი ერეოდა,...
- 55, 1: 461—ქრის—ასევე იყო ყველა დღემდი დასტამბულ გამოკემაში, ვახტ. და ყველა მე XVII საუკ. ხელ-ნაწერში და, მათ შორის, 599 №-იაც—ქნის.
- იქვე 4: 4499 და 2829—არცა გაკლიჩა ბაგენი, 599—არცა გაკლიჩნა ბაგენი ..
- 60, 4: 4499—ჰკრა ერთმანერთსა, დაცვიდდეს, თავის კელ-აუპყრობელად, 2829—კრა ერთმანერთსა, დაკოცნა, თავსა კელ-აუპყრობელად, 757—ჰკრანა... დაკოცნა თავსა კელ-აუპყრობელად
- იქვე 4: 757—... ქუე მკრდამდის გასაპობელად.
- 61, 1: 599, 2829 და 4499—... ლაშქარნიცა შეუზახნა, 757 და 54... მონანიცა შეუზრახნა.
- იქვე 2: 757 და 2829 - არ უქურიტა..., 4499—არ უყურა, არცა ნახნა.
- 61, 3: 599 და 461—ტაიკი მიქრის მერანი, ... ქართ...— მიუგს მერანსა, ... 3. ლარაძე—... უგავს მერანსა, ვარ.— მიუთქს მერანი, 757, 54 და ვახტ.—ტაიკი მიუქს მერანსა; 2829—ტაიკი მიაქუს მერანსა, 4499—ტაიკი მიაქუს მერანი...
- 64, 2: 599—აგრე კულა-წმინდად დაკარგვა..., 4499—აგრე კულა წმინდად დაკარგვა... 54—აგრე კულა წმინდად წაკლამა;

- იქვე 3: 599 და 757—აქუს, ვახტ.—აქუსთ;
- იქვე 4: 599—... ვპოეო მიზეზი ლხინთა ლევისა.
- 66, 3: 757—ყუელაკაი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ დარჯილი.
- 68, 1: 4499—ერთილა; 757 და 2829—ერთაი ახლავს.
- იქვე 3: 4499—აწ წავალ, შესულა არა კამს ეამითა, 2829—  
შესულაა (!) ჩემგან ეამითა.
- იქვე 4: 2829 და ვახტ.—ერთისა წამითა, 4499, 757, 54  
და 599—ერთითა წამითა.
- 69, 1: 4499—ხანი გამოჰკდა, მეფემან ბრძანა: „რასა იქს  
ქალიო“?!...
- იქვე 3: 4499—... მოვიდა აწელა ფერ-ნამკრთალიო, 2829—  
აწე აქ ფერ-ნამკრთალიო, 757 და 54—... აწყიდა  
ფერ-ნამკრთალიო.
- 71, 1: 757—მოვიდა, მოჰყუა მამისა ნებასა,
- იქვე 4: ასეა 599-ში, ვახტ., 757, 2829, 4499 და სხვები—  
მახლავ რად არა. მელი მე მოყვანებასა?!
- 76, 1: 4499 და 2829—... ბოლოდ ასრე გამიმწარნეს, 757  
და ვახტ.—გამემწარნეს.
- 76, 3: 2829 და 54—... ველარამან მინეტარნეს, 599, 757 და  
ვახტ.—... ველარავინ მინეტარნეს, 4499—... ველარავინ  
გამახარნეს.
- იქვე 4: 4499— და სადამდისკა დღენი მესხნეს, ველარამან  
უკუყარნეს, 599—... მე ვერავინ გამახარნეს.
- 78, 2: 599—შორს არის თქუენი საზღვარი ბრძანება-მისა-  
თხრობელი.
- 74<sup>1</sup>, 3 და 4: 599-(თვარე) ეშმა გჩვენებია ლხინთა შენთა შე-  
საცვლელად, და სევდისაგან მოიცილოთ, ნუ შექნილხარ  
მოუცვლელად, ვარიანტები—„შემცვლელ-შმლელად“ ან  
„შეცამლელად“.
- 80, 3: ვახტ.—ვერცა თუ ნახეს ნახული, 4499—ვერც ნახეს  
მისი მნახევი ღთისაგან დანაბალია.
- 80, 4: 599 №—მისავე გულსა ზადია: ეს უძველესი ვარიან-  
ტი გარკვევით გულისხმობს როსტევანს და არა გაგზავ-  
ნილ მონებს; საზოგადოდ, უნდა შევნიშნათ, რომ ვახ-  
ტანგისეულსა და სხვა მისგვარ რედაქციებში მეფე ყველ-  
გან მრავლობითი რიცხვით იხსენიება: „მეფეთა და მისთა  
სპათა“ (15,1), „კულავ ბრძანეს“ (36,1) და სხვა, შეად.  
2829—უბრძანეს: მონა თორმეტი, მოდით...

- 82, 1:—შესაძლებელია, აქ ყოფილიყოს: „ასული და ჩემი მზეო: ეს ხანა სტილის მხრითაც ჩანართსა ჰგავს.
- იქვე 2: 599 სიკრუვე და სიბილწეო, 4499, 757 და ვახტ.—სიკულე და სიბილწეო, 2829—... სიმაკთურე, სიბილწეო.
- 84, 1: 599, 757 და 2829—... ეცუა ოდენ მას პერანგი.
- 86, 2: 599—ცეცხლი მრავალჯერ სდებოდა.
- 87, 1: ვახტ., 2829, 4499—გაცრცილსა, 757—გაძრკუილსა.
- იქვე 2: 2829—ფასის თქმად გასაპირონი.
- 88, 3: 2829—მონამან სკამი დაუდგა (?), სხვები-სელნი: ავთანდილს, ალბათ, მონამ სელნი (ანუ საპატიო სავარძელი დაუდგა), და არა სკამი, 4499 სელი (?) დაუდგნა, 757—სელნი დაუდგა (?)
- 89, 2: 599—მთუარე მზესა მოეშოროს, 757 და სხვები—შეეყაროს.
- 90, 1: 757—კეკლუც-სიტყუად, არ დუხჭირად.
- იქვე 3: 599, 4499 და 2829—სახე ჭირად, 757-დასაჭვირად.
- იქვე 3: 599, 4499 და 2829—წამის-ყოფით, ვახტ. და 757—წამის ყოფად.
- იქვე 4: 777, 599 და 4499—მაგრამ გითხრა პირველ ხუალმე, 756—მაგრა, 2829—... პირველ ხოლმე....
- 92, 3: 757—თუალთათ დაწუი გისეტყუია, ვახტ.—თვალთა, 2829 და 4499—თვალთა ცრემლი გისეტყუია.
- 93, 4: ვახტ. და 757—და წა და იგი მოყმე ძებნე, 599, 2829 და 4499—და წადი, იგი მოყმე ძებნე...
- 94, 2: 2829—ეშმა ბილწი ასაბყარე
- 94, 3: ვახტ.—გულსა აგრე საიმელო.
- იქვე 4: 599 და 4499—და მერმე მოდი, ლომო, მზესა-შეგეყარები-შემეყარე: 757—შემეყარე. მზე აქ, ექვს გარეშე, თინათინია, მაშასადამე, უნდა იყოს: მზესა შემეყარე, და არა „შემეყარე“, სწორედ ისე როგორც 4499-სა და 599 №№-შია.
- 95, 4: 757—... და უფურქუნელი... დაუმქნარი: 757 №-ი ხმარობს ძველ ფორმას, „ქნობას“, „ქკნობა“-ის ნაცვლად, ისე როგორც ჩვენა გვაქვს, ამიტომ ჩვენც ამ სიტყვას ამ სახით ვიცავთ.
- 96, 4: 4499, 599 და 2829—მკულიდეს, 757—მკვლიდეს.

- 97, 4: 757—დაქნების, 599—ვარლი შენი (?) არ დაქნების, გული შენი (?) იეთადა.
- 103: 2: 2829—ვითა მარგალიტი (?) წვიმს ვარდისა დასანაზოდ, 4499 და 757—ვითა მარგალიტსა წვიმს ვარდისა და სანაზოდ.
- 105, 599—თინათინის პატრონობა მტერთა თქუენთა გულსა ვგმირო;
- იქვე 3: 599. 4499 და 2829—მორჩილ-მქნილნი გავახარო, (599-ქნილნი). 757 და ვახტ.—მორჩილ-ქნილთა გავახარო,
- 109, 2: 757 და ვახტ.—ებრძანა: „ლომო, არა გკირს შენ ომთა გამძრეველობა, 599, 4499 და 2829—უბრძანა: ლომო, არა გკირს შენ ომთა გარდუედელობა“.
- 108, 1: 599—მეფე ყელსა მოეკიდა, 4499—... ყელსა მოეხვია, 757 და 2829—... კელსა მოეკიდა...
- იქვე 4: 4499—... გონიერი, გული ტკბილი, 2829—... ლმო. ბიერი, გული ტკბილი, 757—... გონიერი, გული ბილი.
- 109, 3: 4499—... იგია ნიეთი და ავალი (?).
- 109, 4: 2829—და არ მისცილდების თინათინ მას, მისგან გულსა წუთავს ალი, 4499—და მას არ მისცილდის თინათინ რაგინდ გზა ჰქონდეს სავალი.
- 111, 4: 599—ერდგული მისი შერმადინ დაისუა, 757 და 2829—გამზრდელი მისი შერმადინ, სხვები-გაზრდილი...
- 113, 3: 2829—რანიცა ცეცხლნი მდებიან, 4499 და 757—რანიცა ცრემლი მდენიან.
- 115, 4: 2829, 599 და 4499—და კამს თუ, კაცი არ შეუდრკეს ქირსა, დახუდეს მამაცურად, ვახტ. და 757—ქირს მიუდეს მამაცურად.
- 116, 3: 599—... თავადთა სხვათა ყმათასა, 757—თავადად სხუათა ყმათასა, ვახტ.—თავადად სხვათა სპათასა, 4499 და 2829—თავადად ჩემთა სპათასა; შესაძლებელია, გრამატიკის მოთხოვნისაგან, აქ ყოფილიყოს: „თავადსა ჩემთა სპათასა“.
- 117, 1: 2829—... ნაპირობდი.
- 118, 3: ხელ-ნაწერები—მე ნუთუმცა შემოვბრუნდე, 757 №-ი კი—„შემოვბრუნდი“, როგორც ჩვენა გვაქვს. ეს ხანა 461-სა, 2829-სა, 4499 №№-ებში სრულიად შეცვლილია და განახლებული ენით; აქვე მოგვაქვს 461 №-ის ვარიანტი:

ლაშქრობა და ნადირობა შენი ჩემსა, დაასახე, სპათა ჩემთა ეთავადე  
საკელმწიფოა შემინახე, თუ სამ წლამდის არ მოვიდე, ხუაშიადი  
შემინახე, და კელა ნუ თუმცა შემოვბრუნდე, ალვა ჩემი არ დაქ-  
კნახე.

2829 №-ში ეს ხანა იმგვართევა, როგორც 461 №-ში,  
მხოლოდ მე-2-რე ტაეპის ბოლო სიტყვაა „შეინახე“ და  
არა „შემინახე“, ხოლო მე-4-ე ტაეპისა: „არ დამქკნახე“  
და არა „არ დაქკნახე“,

იქვე 3: 4499 №-ი — ... „საპატრონო შემინახე“ მე-3 და 4:  
4499 — კულა ნუთუმცა შემოვბრუნდე, ალვა ჩემი არ  
დაქკნახე, და აქათ სამ წელ არ მოვიდე, მიტირე და  
მივაგლახე.

119, 2: 2829 — უამბე ჩემი სიკუდილი, იყავ მართ ვითა მთერა-  
